ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ – ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ – ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის თვეში ორჯერ **№3 (1811)** 28 მაისი 2004 •



ᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

(ინტერვიუ სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარესთან ნ. ნათაძესთან)

ᲒᲕ. 2

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲜᲐᲗᲐᲫᲔ – 75

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲐᲭᲐᲠᲐ“ ᲙᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲞᲔᲠᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

„The Economit“ — ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲘᲠᲝᲜᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲣᲫᲚᲕᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲡ (ᲓᲐ ᲐᲡᲚᲐᲜ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲪ ᲛᲝᲘᲮᲡᲔᲜᲘᲐ ᲞᲠᲔᲤᲘᲥᲡᲘᲗ ᲨᲔᲛᲙᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲘᲗ — un Abashidze — „ᲣᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ“) ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲬᲧᲐᲚᲔ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲒᲕᲘᲗᲛᲝᲑᲡ.

ᲒᲕ. 3

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲥᲜᲐᲗ ᲔᲠᲐᲧᲨᲘ ᲐᲮᲚᲐ?

(მაღალი ბრიტანელი ექსპერტის აზრი)

ᲒᲕ. 4

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲒᲕ. 3

ᲠᲝᲛᲐᲘᲐᲡ, ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲐᲜᲘᲐᲡ?

ᲒᲕ. 8

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„ – დღევანდელი საქართველო მდებარობს ერთი მხრივ აშშ-სა და რუსეთის სტრატეგიული დაპირისპირების საკვანძო რაიონში, ბათუმსა და ახალქალაქში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზები დაგნან ტრაპიზონისა და სარიყამიშ-არტაანის მხრიდან სრულად დაკომპლექტებული და მაღალ სამობილიზაციო მზადყოფნაში მყოფი, 48-ე ქვეითი და 25-ე მექანიზებული ქვეითი თურქული ბრიგადების, აგრეთვე მე-9 ქვეითი თურქული დივიზიის სავარაუდო შემოსვლის გზებზე. ამიტომ განა ენდომებათ დაპირისპირებულ დიდ სახელმწიფოებს (აშშ, რუსეთსა და თურქეთს) საქართველოს ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება? რატომ გვაიმედებენ, რომ თურმე ერთი ან ორი ბრიგადით შევძლებთ ქვეყნის თავდაცვის ამოცანების გადაწყვეტას, მაშინ, როდესაც ფინეთს ამისთვის სახმელეთო ჯარებში 26 ბრიგადა ჰყავს, შვეიცარიას — 13 დივიზია, არაფერს ვამბობთ ისრაელზე.“

ᲒᲕ. 5–7



ᲒᲕ. 6

ᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲡ ᲕᲔᲠ ᲜᲐᲪᲐᲕᲗ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲔᲛᲣᲐᲠᲔᲑᲨᲘ!

„... დახმარებას ითხოვდნენ კამანის გმირი დამცველები, მაგრამ (მათ შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენლებმა „პანიკიორებიც“ კი უწოდეს. შევარდნაძის მთავრობის მიერ დახმარება აკრძალული იყო! — კამანელებს დახმარება არავინ გაუწია! იძალა, საბოლოოდ მტრის დიდმა სამხედრო შენაერთმა და 30-ივე მებრძოლი (მათ შორის 1 ქალიც ერია) ზედ ბრძოლის ველზე გმირულად აღესრულა. ყოფილი პრეზიდენტი არასდროს შეხებია კამანის თემას.“

ნოდარ ნათაძე – 75

ბატონო ნოდარ, გილოცავთ დაბადების დღეს!

მადლობას გიხდით იმისათვის, რომ ყველასთვის სამაგალითოდ ერთგულად და თავგანწირვით ემსახურებით თქვენს სათაყვანებელ სამშობლოს, ფხიზლად დგახართ მისი უფლებების დაცვის სადარაჯოზე, შეუპოვრად მიგაქვთ იერიში მის მტრებზე და ორგულებზე, ქედს არ იხრით დაბრკოლებების წინაშე და ოპტიმიზმით აღავსებთ თქვენს თანამებრძოლებს.

დაე, კვლავაც ასეთი დაუშრეტელი ენერგიით გეღვაწოთ მის საკეთილდღეოდ! წარმატებები მოეტანოს ქართველი ერისთვის თქვენს ოჯახს, ნიჭსა და უნარს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

უღრმესი პატივისცემით,

საქართველოს სახალხო ფრონტი
გაზეთი „საქართველო“

ხელისუფლებას კონტროლი სჭირდება

(ინტერვიუ სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარესთან ნ. ნათაძესთან)



„საქართველო“: პირდაპირ საქმით დავიწყოთ. საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას ზოგნი დადებითად აფასებენ, ზოგნი უარყოფითად, ზოგისთვის იგი კითხვის ნიშანია. თქვენ რომელთა რიცხვს ეკუთვნით?

— მატჩების შემდეგ და მთამსვლური ასვლების შემდეგ, წარმატების შემთხვევაშიც და წარუმატებლობის შემთხვევაშიც, ეწყობა გარჩევა. ყველა მონაწილის მოქმედება ფასდება ცალ-ცალკე და ყველას უცნობიერდება მისი მინუსები და პლუსები. ხელისულების პოლიტიკა თვალსაჩინოდ წარმატებულია: წავიდა შევარდნაძე და უმტკივნეულოდ დამთავრდა სირთულეები აჭარაში. მაგრამ მე მასში ბევრ ხიფათს ვხედავ. სახელდობრ, შემდეგს:

პირველ ყოვლისა, მე ვთვლი, რომ ასლან აბაშიძესთან ურთიერთობაში პრეზიდენტმა გაწია უფრო დიდი რისკი, ვიდრე დასაშვები იყო: მან იბალანსირა არა დროებითი მარცხის, არამედ ეროვნული კატასტროფის (და არა დროებითი დამარცხების, როგორც ორგან ნაგემი გვაქვს), ზღურბლზე. მე მგონი, მან ვერ შეაფასა ხიფათის ზომა იმ შემთხვევაში, თუ თოფი გავარდებოდა, ანუ მან სწორად ვერ განსაზღვრა საშიშროებათა იერარქია. არ შეიძლება პირადი გაღიზიანება პარტნიორისა, რომელსაც ხელთ ტოტალური აფეთქების ღილაკი აქვს და, რბილად რომ ვთქვათ, რთული ხასიათი აქვს. არ შეიძლება იარაღის ჟღარუნი საკუთარი მოქალაქეების წინაშე მანამდე, სანამ ვითარების იურიდიული მხარე მთელი ფორმალობით განსაზღვრული არ არის. არ შეიძლება საკუთარ სამშობლოში პოლიტიკური ქმედების პროპაგანდისტული აკომპანემენტი, რომელიც საასპარეზოდ გამოწვევას ჰგავს. იმაზე, რომ ყოველივე ეს ხდებოდა სასწრაფო პრობლემების, სახელდობრ, ცხინვალისა და აფხაზეთის პრობლემების მიჩრდილვის ფონზე, აქ აღარას ვამბობ.

მეორე, არ შეიძლებოდა და არ შეიძლება სერიოზული და სახიფათო ნაბიჯების გადადგმა ისე, რომ ზურგში ქვეყნის საწინააღმდეგოდ მოქმედი ძალები გრჩებოდეთ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ჟვანია მთელი იმ ეპიზოდის მანძილზე ლაპარაკობდა კონსტიტუციური ნორმების დაცვის აუცილებლობაზე, მაგრამ არა ძმათა სისხლისღვრის დაუშვებლობაზე. მე შთაბეჭდილება მქონდა და მაქვს, რომ იგი პირდაპირ რუსული ანტიქართული გეგმის კონტექსტში მუშაობდა. ამერიკელების და, საერთოდ, დასავლელების პოზიცია რომ არა, სისხლი არ უნდა დაიღვაროსო, მე მგონი, ჟვანიას მოქმედება უფრო დიდი „წარმატებით“ დაგვირგვინდებოდა. ახლა, ჩემი ანგარიშით, რუსული შეკვეთა ამ მიმართულებით ცოტა სხვაგვარია: აჭარა უნდა გაიძარცვოს ისე, რომ მოსახლეობამ ბათუმში თბილისის იურისდიქციის რეალური აღდგენა უარყოფითად შეაფასოს. ხომ ცნობილია, რომ აბაშიძის მმართველობის დროს ბათუმში მოსახლეობის ძარცვის ხარისხი ნაკლები იყო, ვიდრე დანარჩენ საქართველოში! ახლა, ჩემი აზრით, გარდაუვალია მცდელობა ძარცვის ამ ზოგადი ნორმის გავრცელებისა ბათუმზეც.

მესამე. მე არა თუ არ მომწონს, არამედ უაღრესად საეჭვოდ მიმაჩნია პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში. რა გამართლება აქვს ამ ანაქრონისტულ რევერანსებს და დათმობებს მუქთად, ანუ რაიმე სანაცვლოს გარეშე? რუსეთის „არგაღიზიანების“ და „მადლიერების“ მომხრენი ვერ პასუხობენ ამ ძირითად კითხვას: რა შეუძლია რუსეთს დაგვიშავოს ისეთი, რასაც დღეს არ გვიშავებს? სრულებით არაფერი. როდის რომელი შეღავათი მოგვცა ჩვენი მხრიდან დათმობის სანაცვლოდ? არასოდეს და არაფერი! ჩეჩნების გადაცემა ჯალათთა ხელში და საზღვრის ერთობლივი „პატრულირების“ შემოღება არა მხოლოდ ჩეჩნების ინტერესთა წინააღმდეგ წასვლაა, რაც ჩვენს ურთიერთობებს ძალიან გააფუჭებს, არამედ საქართველოს ინტერესებისადმი პირდაპირი დაპირისპირებაცაა. ის, რომ რუსეთმა რამე „დაგვითმო“ მეორე „ვარდობის“ პროცესში, ჩემის აზრით, ისეთი მითია, რომელზედაც სერიოზული მსჯელობა არ ღირს. რუსეთთან ამავე ანაქრონისტულად მონური პოლიტიკის ელემენტებად მიმაჩნია მე საქართველოს დღემდე გამოუსვლელობა „ესენგეს“ შემადგენლობიდან, მისი ბაზების დაუყოვნებელი გაყვანისთვის კონკრეტული გადამწყვეტი ნაბიჯების არგადადგმა, მისი აგრესიული პირდაპირი როლის ოფიციალური დაუფიქსირებლობა აფხაზეთისა და ცხინვალის ბრძოლებში, რუსეთის ძირითადი აგენტურის „გრუს“ ხელშეუხებლობა საქართველოში და ყოველივე ამის ფონზე დემონსტრაციული მზაობა საქართველოში რუსული კაპიტალის შემოსაყვანად.

მეოთხე. ჩემთვის უცნობია პრეზიდენტის პროგრამაც და აფხაზეთის საკითხში მისი დღევანდელი მოქმედების ლოგიკაც. ის „მოლაპარაკებები“, რაც დღემდე წარმოებს ხაინდრავას, ბერძენიშვილის, ზაქარეიშვილის და სხვათა პირით, საქართველოს პირდაპირი ღალატია იმდენად, რამდენადაც მათში წინამძღვრად აღებულია ორი ყალბი პოსტულატი. პირველი: „აფხაზეთი აფსუების ქვეყანაა“. ამ პოსტულატიდან გამომდინარეობს ჯერ ერთი ის, რომ „აფხაზურ“ მხარეს ვეტოს უფლება აქვს მინიჭებული ყველა გადაწყვეტილების მიღებაში, ქართულს კი ასეთი უფლება მინიჭებული არა აქვს (იგულისხმება, რომ გაერომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება და იგი თავზე მოახვიოს საქართველოს). მეორე: „პრობლემაა თბილისისა და სოხუმის უფლებამოსილებათა გამიჯვნა, მაგრამ არა სოხუმის ნების ფორმირების მექანიზმის განსაზღვრა“. რისგან შედგება სოხუმის ნება? მხოლოდ აფსუათა რაგინდარა ერთსულოვანი ნებისაგან? სადაა ქართველი მოსახლეობის ნება, დანარჩენი მოსახლეობის ნება, მთელი ქართველი ერის ნება, რომელიც ამ ტერიტორიის ავტოხთონური მაცხოვრებელია? როგორ უნდა განისაზღვროს სოხუმის ნება მაშინ, თუ მოსახლეობის 51%, ქართველების ჩათვლით, ერთ აზრს ემხრობა, ხოლო 49%, აფსუების ჩათვლით, მეორეს? ბოდენის დოკუმენტი, რომელიც გაეროში დღესაც დევს, როგორც მოლაპარაკებათა ამოსავალი წერტილი, მკაფიოდ ანტიქართულ პოზიციაზე დგას, მაგრამ ამ დუუმორეული ანტიქართველის წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლებაში ჯერ არავის ამოუღია ხმა.

„საქართველო“: ეს, ალბათ, ხაინდრავა და ზაქარეიშვილის ამოცანაა, რომლებიც დღეს მოლაპარაკებებში არიან ჩართულნი.

— ალბათ, მათიც, მაგრამ ესენი, შეიძლება ითქვას, ყველაზე შეუფერებელი პიროვნებანი არიან ამ მოლაპარაკებათა წარმოებისათვის. მათი პოზიციაა იაფფასიანი „შემრიგებლობა“, რეალურად — კაპიტულაცია და ყალბი მიმტევებლობა ბავშვებისა და ქალების ზღვა სისხლის ხარჯზე.

„საქართველო“: თქვენი შენიშვნები, თუ სწორედ გვესმის, ერთის გარდა შინაგან პოლიტიკას ეხება.

— არა მხოლოდ. ეხება, ჯერ ერთი, შერიგებას აფხაზეთის პრობლემის ინტერნაციონალიზაციის ფაქტთან. გარდა ამისა, მე მაქვს კიდევ ორი შენიშვნა საკუთრივ საგარეო პოლიტიკის მიმართაც. ერთი მათგანი ასეთია: ჩვენ გვაქვს ფუნდამენტალური ერთობლივი ინტერესები დასავლეთთან. დასავლეთს სასიცოცხლოდ სჭირდება გასვლა ცენტრალურ აზიაში, ჩვენ — დასავლეთის მიერ ჩვენი დაცვა რუსეთისაგან და დასავლეთის დემოკრატიის დამკვიდრება (დროულად დამკვიდრება!) შუა აზიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დემოგრაფიული, სტრატეგიული, ეკონომიკური, მილიტარული წლეკვა მოგველის რამდენიმე ათწლეულის შემდეგ. ეს ერთობლივი ინტერესები კმარა ჩვენი მყარი და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, სამხედროს ჩათვლით. მაშრატომ ხდება საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების გვერდის ავლით საქართველოს ფაქტობრივი ჩაბმა ლოკალურ (ახლო აღმოსავლურ) მილიტარულ პროცესებში არალოკალური ძალების ინტერესთა, მაგრამ არა ჩვენ ინტერესთა შესაბამისად? ამით ჩვენს ქვეყანას სამმაგი საფრთხე ექმნება: ჯერ ერთი, ჩვენ საუკუნოდ ვიმტერებთ მუსლიმანურ მეზობლობას. მეორეც, ვიქმნით დღევანდელი ტერორისტული ისლამური ორგანიზაციებისგან თავდასხმის საფრთხეს. მესამეც და მთავარი: ვაძლევთ რუსეთს და მის „გრუს“ საშუალებას, საქართველოში გრანდიოზული კატასტროფები მოაწყონ მუსლიმან ტერორისტთა ნიღაბქვეშ. ამ ბოლო ხიფათს შეიცავს სხვათა შორის ის უნამუსო ღალატიც ჩეჩნების მიმართ, რასაც ჩვენი სახელმწიფოს მესვეურნი სჩადიან. საგარეო პოლიტიკაზე ასეთი შენიშვნაც მაქვს. საქართველოს თავის შინაგან პოლიტიკას უცხო ნების შესაბამისად წარმართავს დღეს ისევე როგორც შევარდნაძის დროს, ტარდება საქართველოს საკუთარი ეროვნული განვითარების უმკაცრესი შეზღუდვის, უფრო მეტიც — მიზანმიმართული ნგრევის პოლიტიკა. ეს ეხება ეკონომიკურ, ორგანიზაციულ მხარესაც და კულტურულ, სულიერ მხარესაც. საქართველოს საკუთარი ქმედუნარიანობის შექმნის არანაირი მექანიზმები არ იქმნება. და ამ შემონი, დღევანდელი ხელისუფლების ნებით არც შეიქმნება. იდეოლოგიური, სულიერი, კულტურული დივერსიის მკაფიო მაგალითად კმარა განათლების მინისტრად ლომაიას ყოლის ფაქტი, მანამდე იეღოველთა ორგანიზაციის ლეგალიზაციის ფაქტი. პოლიტიკა მიზანმიმართულად მიდის იქითკენ, რომ ქართველი ახალგაზრდობა გადააქციონ გონებაგამოცლილ და დამოუკიდებლობაგამოცლილ მანკურტებად (ესენი ყირგიზელი მწერლის აიტმატოვის სატირული პერსონაჟები გახლავან), რომლებიც მხოლოდ მომსახურების სფეროს ყველაზე დაბალ და სამარცხვინო საფეხურებში დასაქმებას შეძლებენ.

„საქართველო“: გამოდის, რომ ჯამში თქვენი შეფასება ხელისუფლების პოლიტიკისა, უარყოფითია?

— სირთულე სწორედ იმაშია, რომ ამას ვერ ვიტყვი. პოლიტიკა, რომელიც ტარდება, დასავლეთის პოლიტიკაა და არა ქართველების რომელიმე ჯგუფისა. ვგულისხმობ: უპირატესად დასავლეთისაა, თორემ რუსული დესტრუქციული ფაქტორიც მასში ბლომად ურევია. დასავლური პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის მიმართ პლუსებსაც მოიცავს და მინუსებსაც, შესაბამისად — მათ აქაურ მეგობართა დღესდღეობით მმართველი ჯგუფის პოლიტიკაც. ის თუ რა მიმართულებით ახდენენ დასავლელები ზეგავლენას საქართველოს შინაგან პროცესებზე, ამ მინუსთა სფეროს ეკუთვნის (ე. წ. „რევოლუციები“, ცხადია, აქ გამონაკლისია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ნამდვილი „ნაციონალისტის“ ხელით, ქართველი პატრიოტის ხელით დასავლელები ამ „რევოლუციების“ მოხდენას არ დაეთანხმებოდნენ). ამიტომ თქვენს კითხვას შემიძლია მხოლოდ აგნოსტიკურ-პესიმისტური პასუხი გავცე. ეს პასუხია: არ ვიცი. ჯერ საკმარისი მასალა მსჯელობისთვის არ მაქვს. მმართველთა ჯგუფის უკეთესი ნაწილი, ჩემის აზრით, მარიონეტია, მაგრამ არა მტერი ქვეყნის, არამედ ძირითადად მეგობარი ქვეყნების მარიონეტი (და, შესაძლებელია, ერთი-ორი არამეგობარი საერთაშორისო ორგანიზაციისაც). ქართული ეროვნული ძალების (და, შესაბამისად, ქართველთა ერის ძირითადი გონებრივი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის) პოზიცია, სტრატეგია და ტაქტიკა ამ სიტუაციაში, მე მგონი, ოთხი რამისგან უნდა შედგებოდეს:

პირველი. მუდმივი თანადგომა ხელისუფლებისადმი საქართველოსთვის სასარგებლო ნაბიჯებში.

მეორე. მუდმივი ზეწოლა „ქვემოდან“, რათა არ იქნას დაშვებული ყველაზე ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯების გადადგმა.

მესამე: ხელისუფლებიდან მოცილება (ბრძოლის დემოკრატიული ხერხების გამოყენების გზით) იმ ინდივიდებისა, რომლებიც სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით საშიშნი არიან.

მეოთხე. ხელისუფლების გვერდის ავლით იმ საქმეთა კეთება, რომელიც ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აგებას სჭირდება. მომზადება, დახელოვნება, პროფესიული გამოცდილებით აღჭურვა იმ ტიპის ადამიანთა საკმარისად დიდი მასისა, რომლებიც მზად იქნებიან და ღირსნი იქნებიან, სახელმწიფოს საჭეს დაეუფლონ ახლო მომავალში — თანმიმდევარი მყარი პატრიოტებისა და ცივი პროფესიონალებისა ერთსა და იმავე დროს.

ამ ოთხ პრინციპს, ჩემის აზრით, ღრმა და აქტიური გათავისება სჭირდება ჩვენი მხრიდან. დღეს, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიო „გვაწვება“, რომ დიდხანს დაგვტოვოს ე.წ. „განვითარებად“ ქვეყანათა სტატუსში და ჩვენი რეგიონისა და მსოფლიოს ნამდვილ პოლიტიკაში ჩვენი სიტყვა არ გვათქმევინოს. ამიტომ შესაძლებელია ჩვენს ქვეყანას ერთხანს მარიონეტთაგან შემდგარი (მე არ ვგულისხმობ მტრის მარიონეტთაგან შემდგარს) ხელისუფლებების ყოლამ მოუწიოს. მათი მმართველობის პირობებში ჩვენი ქვეყანა სწორედ ამ ოთხი მეთოდით უნდა დავიცვათ და რასაკვირველია, ნამდვილი ეროვნული ხელისუფლების შექმნაზე ვიზრუნოთ.

„საქართველო“: მარიონეტობა მოვითმინოთ?

— „მარიონეტი“ მხოლოდ მინუსებით აღჭურვილი ფიგურა არ არის. იგი ის ბერკეტია, რომლითაც უცხო ძალა ჩვენს ქვეყანაში თავის ინტერესს იცავს. სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება, რომ იგი, თავისა და ჩვენი ერთობლივი ინტერესებიდან გამომდინარე, მხოლოდ მაშინაა თანახმა ჩვენი ინტერესები განახორციელოს, თუ იმ მარიონეტის სახით ჩვენს შიგნით თავისი საიმედო ლობისტი ჰყავს.

„საქართველო და აჭარა“ კომიკური ოპერა დამთავრდა

„The Economit“ — ჟურნალი, რომელმაც არაერთი სერიოზული თუ ირონიული სიტყვა უძღვნა საქართველოს დღევანდელ განსაცდელს (და ასლან აბაშიძეც მოიხსენია პრეფიქსით შემკობილი გვარით — un Abashidze — „უსირცხვილაძე“) ამჯერადაც თავის მოწყალე ყურადღებას გვითმობს. იგი წერს:

„თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები ხელმოცარული (failing, ქართულად, რუსულის მიბაძვით, ეს ტერმინი რატომღაც „ვერშემდგარ სახელმწიფოებად“ ითარგმნება ხოლმე) სახელმწიფოები არიან, მაგრამ ზოგს მეტად აქვს ხელი მოცარული და ზოგს ნაკლებად. ე ს წესი გვიადვილებს იმ წარმატების გაგებას, რომელიც ამ კვირას მოიპოვა საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა განდგომილი პროვინციის აჭარის დაბრუნების საქმეში. მისი წინამორბედის ე. შევარდნაძის დროს ეს კომიკურ-ოპერული სახელმწიფუნა (statilet) საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ცოტა ნაკლებ ცუდად ფუნქციონირებდა, ვიდრე ქვეყნის დანარჩენი ნაწილი: იგი ფეოდალური სამფლობელო იყო თავისი პატარა (diminutive) ლიდერისა, ასლან აბაშიძისა, რომელიც ტკბებოდა თავისი შინაურული ურთიერთობით ადგილობრივ რუს გენერლებთან და თავისი წილით იმ ნადავლიდან, რაც ნავთობისა და სხვა საქონლის საზღვარგადამკვეთ ვაჭრობას შემოჰქონდა. დანარჩენ საქართველოში გამეფებულ ქაოსთან შედარებით აჭარა ნორმალურობის სამოთხე იყო: ქუჩები იგვებოდა, ოპოზიცია კი ძლივსღა არსებობდა.

მაგრამ ვითარება შეიცვალა მისტერ სააკაშვილის ხელში, რომელმაც აიძულა მისტერ აბაშიძე 5 მაისს ქვეყანა მიეტოვებინა. იგი აბაშიძეს „მინი-სადამ-ჰუსეინს“ უწოდებდა და მისი წასვლის შემდეგ ჩაფრინდა აჭარის დედაქალაქ ბათუმში, რათა თავისი გამარჯვებით დამტკბარიყო. ახალმა ქართველმა ლიდერმა თან მოიტანა დინამიზმი პლუს ყოვლისგადამლახავი სახალხო მანდატი საიმისოდ, რომ თავისი ქვეყანა უფრო სახელმწიფო გახადოს ამ სიტყვის საკუთრივი აზრით. 6 თვის მანძილზე მან შეძლო მეტი გადასახადების აკრება, ხელფასების ამაღლება, პენსიების გადახდა და ზოგი ძალიან მდიდარი ადამიანის დაპატიმრება. იმან, თუ როგორ შეძლო მისტერ სააკაშვილმა ამ ადამიანთა ბადეში გაბმა და მათთვის დიდ თანხათა მიტანინება საქართველოს ხაზინაში, შესაძლოა ყოველთვის არ დაიკმაყოფილოს მისი ყოფილი კოლომბორი უნივერსიტეტის პროფესორები. მაგრამ საქმე მაინც ისე წარიმართა, რომ ახლა საქართველო გამოიყურება რეალურ სახელმწიფოდ, აჭარა კი ხელმოცარულ სახელმწიფოდ.

აი, როგორ შეძლო მისტერ სააკაშვილმა იმ ზეწოლის შექმნა, რომელმაც აიძულა მისტერ აბაშიძე თავისი თანამდებობის საფეხურებიდან გადმოსულიყო და ნავთსაყუდელი რუსეთში ეძებნა. „ლაპარაკის დრო წავიდა“ თქვა მან, როცა თავის არმიას უბრძანა (არმიას, რომლის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის ამერიკელმა მრჩევლებმა ბევრი იშრომეს), წვრთნა გაემართა აბაშიძის საზღვართან. ჩვენ არასდროს აღარ დავუშვებთ საქართველოს რომელიმე ნაწილის დასაკუთრებას ბანდიტების, ნარკოვაჭრების და ადგილობრივი ფეოდალების მიერ“. მისტერ აბაშიძის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მისი ძალა დადნა. ბათუმის მახლობლად ბაზირებული ბრიგადის მეთაურმა ერთგულება განუცხადა მისტერ აბაშიძეს, მაგრამ მის ხელქვეითთა უმრავლესობა სხვა გზას დაადგა. ამ კვირაში შედგა მრავალათასიანი დემონსტრაცია საკაშვილის მხარდასაჭერად ბათუმში (იგი ამბობს, რეგიონის 20% მხარს მიჭერსო). ბოლოს, 5 მაისს რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ივანოვი, რომელმაც ხელი შეუწყო შევარდნაძის მოცილებას გასულ ნოემბერში, იგივე ილეთი შეასრულა მისტერ აბაშიძესთანაც. სიხარულით აღვსილმა მისტერ საკაშვილმა უთხრა ბათუმელ ხალხს, „გმირები ხართო“. მან დასძინა, „საქართველო ერთიანი იქნებაო“.

მას ფრთხილად ბიჯება უხდებოდა აჭარაში, რადგან იქ დგას ფართოდ გაჭიმული ექს-საბჭოთა ბაზა, იმ დღეთა მემკვიდრეობა, როცა აქ იყო საზღვარი წითელ არმიასა და ნატოს წევრ თურქეთს შორის. დღეს იქ მხოლოდ 1500 ჯარისკაცია, როგორც გვეუბნება უშიშროების ანალიტიკოსი რიჩარდ რივი ჯეინის ინფორმაციით, და ამ ჯარისკაცთა უმრავლესობა რუსულფორმიანი ქართველები არიან. მისტერ სააკაშვილი გადაჭრით ამბობს, რუსები სიტყვას შეასრულებენ და საქართველოში თავის ბაზებს დაცლიანო, რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან „მოლაპარაკება იოლია და იგი თავის სიტყვის პატრონიაო“, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ რუსეთმა ბათუმთან თავისი რამდენიმე ასეული ჯარისკაცი განალაგა. და როცა ამას წინათ აჭარის გარესამყაროსთან მაკავშირებელი ხიდები კვალიფიციურად აფეთქდა, 2 მაისს, საქართველოს ლიდერებმა აქ რუსული და არა აჭარული ხელობა აღმოაჩინეს. აჭარაში გასამარჯვებლად მისტერ სააკაშვილის ძლიერი რუსული ფიგურების თანადგომა სჭირდებოდა და მან იგი, როგორც ჩანს, მიიღო.

შესაძლებელია ფოკუსმა ახლა ორ სხვა ქართულ რეგიონში — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გადაინაცვლოს. საქართველოს წინა პრეზიდენტები მოუხერხებლად ცდილობდნენ ამ არეალებში ამბოხებათა დაშოშმინებას, მაგრამ ამის მაგიერ ჭუჭყიანი და წარუმატებელი ომები მოიმკეს. მისტერ სააკაშვილი უფრო რეალისტია ამ ორი განდგომილის მიმართ: იგი მხოლოდ ამას ამბობს, მათ უკანვე მოვიზიდავ აყვავებული საქართველოს შექმნითო. აჭარაში მისმა ტაქტიკამ იმუშავა. მაგრამ საქმე უფრო გაჭირდება სამხრეთ ოსეთში და, განსაკუთრებით, აფხაზეთში, რომლებიც კიდევ უფრო საყვარელნი არიან რუსის გულისთვის.

ერაყის დღევანდელი დროებითი არაამერიკული ხელისუფლების თავდაცვის მინისტრი ალი ალავი აპირებდა ერაყის პროამერიკული შეიარაღებული ძალების შექმნას. მათი თავდაპირველი შემადგენლობა და სამომავლო ბირთვი უნდა გამხდარიყვნენ 50 ათასი ქურთი, 10 ათასი შიიტი მებრძოლი, რომლებიც ირანელთა მიერ არიან მომზადებულნი და ბრიგადად ჩამოყალიბებულნი და 1500 სხვა რაზმელი, რომელნიც მხარს უჭერენ „დავას“ პარტიას. დღეს მინისტრი „The Economist“-ის თქმით, გააფრთეხულია. ქალაქ ფალუჯაში, რომელშიც ამბოხებას ყველაზე მწვავე სახე ჰქონდა, ამერიკელებმა შეირიგეს ამბოხებულნი იმით, რომ მათ ფული, რადიოები და უნიფორმები მისცეს, ანუ მათ ორგანიზაციასა და აღჭურვაში დაეხმარნენ. ზოგი ამერიკელი სამხედრო ფიქრობს, რომ ეს კარგი გზაა სხვა მეამბოხე რაზმთა დაშოშმინებისთვისაც. მაგრამ სხვანი ფიქრობენ, რომ ეს მხოლოდ დროებითი შესვენების მომტანია მოწინააღმდეგის გაძლიერების ფასად. ამერიკელი გენერლის ბრებერის (იგი ერაყის დღევანდელი ადმინისტრაციის პირველი პირია) ბრძანება, რომ ყველა ერაყელმა შეიარაღებულმა ფორმირებამ ჩააბაროს მძიმე იარაღი, დავიწყებას მიეცა. მეამბოხეთა ერთ-ერთმა სასულიერო ლიდერმა სალასმა თქვა ამ პოლიტიკის გამო: „თუ ამერიკელების მეგობრობა გინდათ, იგი ბრძოლით უნდა მოიპოვოთო“. მეამბოხეთა ორგანიზებული ძალა დიდწილად შედგება სადამ ჰუსეინის ყოფილი უშიშროების მოსამსახურეთაგან, რომლებიც ბრებერმა უსაქმოდ და უპასუხოდ დატოვა. ახალი პოლიტიკა ამ სამსახურის და ერაყის მმართველი პარტიის „ბაასის“ რეანიმაციას იწყებს. ამ პოლიტიკით ძირი ეთ-

ერაყის ფორმალური და არაფორმალური შეიარაღებული ძალები

ხრება ერაყის არმიის შექმნას, რომლის გარეშეც ერაყი ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დაიშლება. თუ აქამდე ჰუსეინის 400 ათას დათხოვნილ სამხედრო და უშიშროების მოსამსახურეს პროფესიული დასაქმების პოვნა მხოლოდ ერაყის ახალ პროამერიკულ შეიარაღებულ ძალებში შეეძლო, დღეს მას უკვე არჩევანი აქვს ამ ძალებსა და ჰუსეინის მომხრეთა ზემოხსენებულ რაზმებში ყოფნას შორის.

დღეს ალავის ჰყავს 35 ათასი კაცი და აპირებს კიდევ 45 ათასის მიღებას ერაყის სამოქალაქო დაცვის ძალთა შემოერთებით. 10 ათასმა კაცმა უნდა შეადგინოს სპეცრაზმი, რომელიც ამერიკელებს მოაცილებს აჯანყებულთაგან დაცვის ტვირთს, ბევრი აქაური ჯარისკაცთაგანი გადადის მეამბოხეთა მხარეზე.

ალი ალავი ძალიან წინააღმდეგია ქ. ფალუჯას ზემოხსენებული ბრიგადის მიღებასა თავის შეიარაღებულ ძალებში. იგი არ პატიობს ჰუსეინის მომხრეებს 300 ათასი შიიტის სისხლს 1991 წლის ამბოხებისას. გარდა ამისა მრავალნი შიშობენ, რომ ერაყის ლეგიტიმური ხელისუფლების შექმნას ა. წ. ივლისში მოჰყვება ახალი არმიისა და ძველი რეჟიმის მომხრეთა რეანიმირებული რაზმების შეტაკება. ეშინიათ აგრეთვე, ბუშმა ერაყში არ შემოიღოს სამხედრო მმართველობა.

ისრაელელთა გადაწყვეტილებები და ისრაელელთა განწყობილებები

ისრაელის ლიდერმა შარონმა თავის პარტია „ლიკულს“ დაუსვა კითხვა „მეთანხმებით თუ არის იმაში, რომ ღაზის ზოლიდან უნდა გამოვიყვანოთ იქ არსებული ებრაული დასახლებები? და პასუხად მიიღო „არა“. The Economist ამ პასუხის რამდენსამე მოტივს ასახელებს. პირველი, ზოგს მიაჩნია, რომ ისრაელმა არ უნდა უღალატოს თავის წმინდა მოვალეობას, დასახლებებით აითვისოს მთელი აღთქმული მიწა. მეორე. დათმობა წაახალისებს და გააძლიერებს ტერორს. მაგრამ რიგითი ისრაელელის აზრი არ ემთხვევა რიგითი ლიკულელისას. მათ დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ღაზის ზოლის მიტოვება გაზრდის მათ უსაფრთხოებას თავისმკვლ ამფეთქებელთა წინაშე. რას იზამს შარონი? მან შეიძლება ნაწილობრივი გამოსვლის გეგმა შეიმუშაოს, შეიძლება დანიშნოს საკონსულტაციო რეფერენდუმი (სხვაგვარს ისრაელის კანონი არ უშვებს), შეუძლია სულაც უგულებელყოს თავისი პარტიის აზრი და პარლამენტისა და მთავრობის მხარდაჭერისთვის იზრუნოს, შეუძლია ვადამდელი არჩევნები დანიშნოს. შეუძლია დრო ჭიმოს, ამერიკელები მხარს უჭერენ ისრაელის პოლიტიკის შერბილებას, „გზათა რუკის“ გეგმის მთავარი მომხრენი — აშშ, ევროკავშირი, რუსეთი და გაერო — ზოგადი სიტყვებით აცხადებენ, რომ ღაზიდან ებრაელთა გამოყვანა იქნება „პოზიტიური ნაბიჯი წინ“, მაგრამ ამ ნაბიჯით არაფერი დააკლდება კიდევ უფრო დიდი პრობლემის — იორდანეს მარცხენა სანაპიროს ებრაული დასახლებების — სიმწვავეს.

რა უნდა ვქნათ ერაყში ახლა?

(მაღალი ბრიტანელი ექსპერტის აზრი)

ერაყში რომ ძალადობა არ ხდებოდეს, მას, ექსპერტის აზრით, დღეს დემოკრატიის გზაზე წინწაწევისა და ეკონომიკური წარმატების კარგი პერსპექტივა ექნებოდა. მაგრამ ძალადობა, სამწუხაროდ, ხდება. იგი ბუნებრივია ქვეყანაში, რომელსაც ბოლო დროის ისტორიაში ესოდენ ბევრი ტანჯვა აქვს ნაგემი. მის წყაროთა შორის არის მრავალრიცხოვანი არასწორი სვლები, რომლებიც წარმატებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ კოალიციამ გადადგა არასწორი დაშვებებისა და ანალიზების და არასაკმარისად მყარი ნების გამო ეფექტიანი კონტროლის დამყარების საქმეში.

გეგმა, რომელსაც ერაყის დროებითი დასავლური ადმინისტრაცია თავიდანვე დაადგა, ექსპერტის აზრით, სწორი იყო. ეს გახლდათ მალე ადგილობრივი ერაყული ადმინისტრაციის მოწყობა და ხელისუფლების მის ხელში გადაცემა, სადამ ჰუსეინის დამქაშთა განდევნა ხელისუფლებიდან, პიროვნებისა და უმცირესობების უფლებათა დაცვა, კორუფციისა და არაკომპეტენტურობის მინიმალიზაცია და სამსახურთა ამუშავება. ექსპერტს მიაჩნია, რომ პოლიტიკური განვითარების გეგმა ძირითადად სწორად იქნა მოხაზული: ჯერ გარდამავალი ადმინისტრაციული კანონის (გაკ) მიღება, რაც დროებით კონსტიტუციას უდრის (მასში ასახული იყო ძნელად მიღწეული კომპრომისიც ქურთებთან), შემდეგ კი გადამწყვეტი ნაბიჯი — ახალი ეროვნული კრების (პარლამენტის) საყოველთაო არჩევნები 2005 წლის იანვრამდე და ამ კრების მიერ უკვე საბოლოო ერაყული მთავრობის შექმნა. ეს მთავრობა „სავსებით სუვერენული იქნება იმ აზრით, რომ ამერიკელების და მსოფლიო თანამეგობრობის ყოველი გადაწყვეტილება ერაყთან მიმართებაში შესათანხმებელი იქნება ერაყელებთან, როგორც თანასწორ პარტნიორებთან; ერაყელი მსაჯები გაასამართლებენ სადამს. ერაყელებივე განსაზღვრავენ ნავთობის ინდუსტრიის მომავალს". ამ მთავრობის უფლებამოსილებები არ გასცდება ქვეყნის მართვის ფარგლებს. ეროვნული კრების (პარლამენტის) მიერ 2005 წელს შექმნილი მთავრობის ფუნქციები, რა თქმა უნდა, ასეთ შეზღუდვებს დაქვემდებარებული არ იქნება.

ექსპერტი „კვერცხისა და წიწილის" პრობლემას უწოდებს იმ არჩევანს, თუ რას რა უნდა უსწრებდეს — არჩევნები ხელისუფლების შექმნას თუ (დროებითი) ხელისუფლების შექმნა არჩევნებს? უაღრესად გავლენიანმა აიათოლა ალი სისტანიმ კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია იმ გეგმას, რომ აურჩეველ ხელისუფლებას (გაკ-ს) შეექმნა ქვეყნის მომავალი კონსტიტუცია, რომელიც საფუძვლად დაედებოდა საყოველთაო საპარლამენტო არჩევნებს. ამან შეაფერხა ამერიკელების გეგმა. წინააღმდეგობა რჩებოდა: ერთის მხრივ, საჭირო იყო ერაყის რაც შეიძლება მალე განთავისუფლება სიტყვისაგან „ოკუპაცია", მეორეს მხრივ, არ შეიძლებოდა საყოველთაო საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა დაუყოვნებლივ, ანუ მანამდე, სანამ ქვეყნის პოლიტიკური ძალები პარტიებად ჩამოყალიბებას არ მოასწრებდნენ. პროცედურული შეთანხმება ბოლოსდაბოლოს მოხდა (დროებითი მთავრობის არჩევა 2004 წლის გაზაფხულ-ზაფხულში და მთავარი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება 2005 წლის ბოლომდე). მაგრამ დარჩა საზოგადოებრივი აზრის უნდობლობა როგორც კოალიციური დროებითი მთავრობისადმი (კდმ. იგი ერაყელებისგან შედგება), ისე მმართველი საბჭოსადმი და რელიგიური ავტორიტეტებისადმი.

ძალადობის (ანუ სისხლიანი ოპერაციების) ევოლუციას, რისი მოწმენიც დღეს ვართ, ექსპერტი ასე აღწერს: კოალიციის ხელთ გამოცდილებისა და ინფორმაციის დაგროვების შედეგად სადამის მომხრეთა მოძრაობის ძალა თანდათან სუსტდებოდა. მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ უკანასკნელებმაც აიმაღლეს თავისი კომპეტენცია და გამოცდილება და, ამასთანავე, ისწავლეს კოოპერირება არაადგილობრივ ტერორისტულ ჯგუფებთან, რომლებმაც შემოღწევა დაიწყეს საბრძოლო მოქმედებათა დამთავრებისთანავე. ეს ჯგუფები სხვადასხვა იდეოლოგიისანი და პოლიტიკური მრწამსისანი არიან, მაგრამ საერთო მიზნად ის აქვთ, რომ ერაყი ამერიკელებისათვის უმართავ ტერიტორიად გახადონ: „ძალადობისა და ანარქიის მიღწევას ისინი განუკითხავი მკვლელობითა და ნგრევით ცდილობენ".

ვინაიდან თვით კოალიცია იცავს თავს თავდასხმისაგან, ამ ჯგუფებმა შედარებით უფრო ადვილი სამიზნეების არჩევას მიჰყვეს ხელი. ესენი არიან კოალიციის მომცრო პარტნიორები, დონორები, კონტრაქტორები და თვით ერაყის ახალი სახელისუფლებო სტრუქტურები. მსხვერპლთა შორის იზრდება ერაყელთა პროცენტი. ეს აძლიერებს ერაყელთა უარყოფით დამოკიდებულებას ამის ჩამდენთა და განსაკუთრებით უცხოელ ჩამდენთა მიმართ, მაგრამ იზრდება მათი ანტიპათია საოკუპაციო ძალის მიმართაც, რადგან ეს უკანასკნელია პასუხისმგებელი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისითაც და ჩვეულებრივი ადამიანური მსჯელობის თვალსაზრისითაც. პოლიტიკური პროცესის მოძრაობამ ზემოხსენებული საფეხურებით და ზემოხსენებულმა კამათებმა კოალიციას, რელიგიურ მოღვაწეებსა და პოლიტიკოსებს შორის შეამცირა მოსახლეობის თანხმობის ზომა, რომ ყოველივე ამისთვის ესოდენ ძვირი ფასი გაიღონ. ამან, თავის მხრივ, წაახალისა აჯანყებულები და ხელი შეუწყო მოსახლეობის მიმხრობას ამგვარ ოპერაციებში მონაწილეობისათვის.

ექსპერტის აზრით, არსებითია გვესმოდეს შემდეგი. სადამის მომხრეებსა და ტერორისტებს არა აქვთ კოალიციაზე ერაყში გამარჯვების ძალა. ამიტომ მათ უნდა გააფართოვონ ქვეყანაში წინააღმდეგობის ძალა. ამას ხელს უშლის ის, რომ ივლისში, გეგმით, უკვე უნდა დამთავრდეს ერაყში ოკუპაცია და მოწინააღმდეგეს ამ სიტყვაზე ემოციური თამაშის საშუალება უნდა წართვას. მაგრამ მათ მხარეზე მაინც რჩება სიძულვილი, რომელიც ბატონობს სუნიტური და შიიტური მოსახლეობის წიაღში.

ერაყელთა დიდი ნაწილი, ექსპერტის აზრით, გაფაციცებით მოელოდა ახალ შესაძლებლობებს, რომელსაც მას სადამის დამამცირებელი დიქტატურის გადაგდება უხსნის. ისინი თავს მსოფლიოსაგან მიტოვებულად გრძნობდნენ. ისინი მზად იყვნენ ძნელი გარდამავალი პერიოდი დაეთმინათ და ძალადობის გარკვეული ზომის მიმართ იმუნიტეტიც გაჩნდათ. როგორც გამოკითხვები გვიჩვენებს, მათი შემწყნარებლობაც საგარეო ჩარევისადმი საკმაოდ ელასტიური ყოფილა: მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს უმრავლესობამ უნდა იცოდეს, რომ ცხოვრება უკეთესობისაკენ მიდის და რომ უცხოელთა შემოსვლის მთავარი მიზანი — ხალხის თანხმობით მართული ერაყის შექმნა — მიღწეული იქნება. ახალი ხელისუფლება უნდა იყოს სანდო და მისაღები (ამ მოთხოვნებს კარგად ითვალისწინებს გაეროს ახალი მოციქული ერაყში ბრაჰიმი). დემოკრატია, ერაყელთა აზრით, შეძლებს განვითარებას მხოლოდ მაშინ, როცა გამოჩნდება ცხოვრების ნორმალური ორგანიზების საფუძვლები, მათ შორის — უსაფრთხოება და სამუშაო ადგილები.

თუ ცხოვრების ამ გაუმჯობესების და მისთვის გასაღები ხარჯების ბალანსი დაირღვევა მეორეთა სასარგებლოდ, ბევრ ერაყელთა ელასტიკური მოთმინების უნარიანობა ვეღარ გაძლებს. მთავარია ის, თუ რამდენნი არიან მზად სისხლიან ძალადობაში მონაწილეობის მისაღებად. ამიტომაც ესოდენ შემაშფოთებელი სიმპტომია ერთდროული გამოსვლები სუნიტურ და შიიტურ ზონებში. ეს თანხვედრა შემთხვევითია თუ გაუარესების ტენდენციას გვიჩვენებს? — სვამს კითხვას ექსპერტი. ამ კითხვის სწორ პასუხს მოითხოვს არა მხოლოდ ერაყში, არამედ მაგალითად მსოფლიოში მიმდინარე და შესაძლო პროცესთა ინტერესები, ჩვენ დღეს კიდევ ვცდილობთ ავაგოთ გეოპოლიტიკური სისტემის მუშაობის მექანიზმები, როგორც რბილი მოქმედება უძნელეს პირობებში", თუმცა საქმე უკვე „სუპერძალის განსაკუთრებით საშიშ ოპერაციასთან გვაქს". ტერორიზმი გლობალური მოვლენაა, მისი გამოვლენა ერაყში სიმპტომია და არა მიზეზი. გაეროს შედეგიანობა მხოლოდ მის პრინციპებზე კი არ კიდია, არამედ მისი მოქმედების ეფექტიანობაზეც. „ნაციათა ძალამ უნდა გაითვალისწინოს ბუნებრივი" ქაოსის ძალა. ამიტომ ერებმა სათანადო სამოქმედო საშუალებები უნდა შეიმუშაონ და დახვეწონ.

ნამდვილი გადამწყვეტნი და ამრჩევნი, ღირდა თუ არა სადამის გადაგდება ყოველივე ამად, მხოლოდ თვით ერაყელნი არიან. ზოგან, მაგალითად, იმ ამბოხებულ სუნიტურ ტერიტორიებში, სადაც უმრავლესობა სადამისტებს ემხრობა, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, რომ არ ღირს. ასევე თვლიან, უთუოდ, ალი-სადრის შიიტი მომხრეებიც. იმათ, ვინც აღმოსავლეთს კარგად იცნობს, გაუკვირდებოდათ, უდიდესი სისასტიკის ეს აქტები რომ არ მომხდარიყო, მაგრამ, ექსპერტის აზრით, ეს არ არის მთლიანად ერაყის პოზიცია. უმრავლესობა, განსაკუთრებით ქალები (ისინი მოსახლეობის 55% შეადგენენ), დარწმუნებულნი არიან, რომ სადამის გადაგდება ყოველივე ამად ღირდა და მოელიან ახალი ერაყის აშენებას.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, ექსპერტს მიაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია მთავრობის სასწრაფოდ გადაცემა ერაყელთა ხელში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ერაყელთა ნაციონალიზმის შეუზღუდავი ზრდა. მოქმედების წარმმართველი ორიენტირი უნდა იყოს უპირატესად ერაყული, ეს კი, როგორც არაერთხელ გვინახავს, ვერ მოხდება, თუ მმართველი სკამები უცხოელებს უკავიათ. ტერორიზმი და განუკითხავი ძალადობა მხოლოდ მაშინ შეწყდება ერაყში, თუ ამას მოინდომებენ თვით ერაყელები და უშიშროების ძალებს მხარს დაუჭერენ, თუ ერთიანი და არა თემებად დაყოფილი ქვეყნის იდეოლოგიას დაადგებიან, თუ კოლექტიურობის სულისკვეთებით იცხოვრებენ. რა თქმა უნდა, მათ ნუგეშად სჭირდებათ საერთაშორისო მხარდაჭერაც, მაგრამ ისე, რომ ეჭვი არ იყოს, თითქოს ვინმე მათს მანიპულირებას ეწეოდეს.

სწორედ ამიტომ, ექსპერტი ფიქრობს, რომ ერაყის პრობლემის გადაჭრაში მონაწილეობა უნდა მიიღოს უცხოელთა ფართო წრემ. მათ ბოლომდე, ანუ პრობლემის სრულ მოგვარებამდე უნდა გაძლონ. ამერიკული და ბრიტანული ძალები იქ 2006 წელსაც უნდა დარჩნენ, თუმცა მათი რაოდენობა შეიძლება შემცირდეს სიტუაციისდა მიხედვით.

ზოგიერთი რამ საქართველოს თავდაცვის შესახებ

საქართველოს თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბება მეტად რთული და შრომატევადი პროცესია, რომელიც მოიცავს ქვეყნის შეიარაღებული ძალების, ეკონომიკის, სამხედრო მრეწველობისა და სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ერთიანი მიზნით შეთანხმებულ და კოორდინირებულ მშენებლობას, სამხედრო და ორმაგი დანიშნულების (სამოქალაქო-სამხედრო) ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ტერიტორიის ოპერატიულ მოწყობას (აღჭურვას). ამ პროცესში აუცილებელია ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ სხვადასხვა დარგის სპეციალისტების გულმოდგინე, შეთანხმებული და მიზანმიმართული მუშაობა, აუცილებელი დაფინანსება, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს უწინარეს ყოვლისა ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობებიდან.

საქართველოს თავდაცვის მშენებლობის შემდეგი საფუძველი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისთვის არსებული რეალური და პოტენციური (შესაძლო) სამხედრო მუქარების შესწავლა, გაანალიზება და შესაბამისი საორგანიზაციო ღონისძიებების გატარება. ამ მხრივ მეტად საგულისხმო უნდა იყოს ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების სამხედრო ხარჯების დინამიკის, შეიარაღებული ძალების რიცხოვნების, ძირითადი შეიარაღების, ნაწილებისა და შენაერთების განლაგების, დაკომპლექტებისა და სხვა მონაცემების გულდასმით ცოდნა და მათგან მომავალი შესაძლო მუქარების გასანეიტრალებლად ზრუნვა.

ამ მიმართულებით საქმეს გვიადვილებს თუნდაც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ყოველთვიურ ჟურნალ „ზარუბეჟნოე ვოენნოე ობოზრენიეში“ 1974 წლიდან დღემდე გამოქვეყნებული მასალების შესწავლით თანამედროვე სამხედრო საქმის საფუძვლების გაცნობა, აგრეთვე სტრატეგიული კვლევების ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის ყოველწლიური გამოცემით Military Balance ჩვენთვის საინტერესო სახელმწიფოების მთლიანი შიდა პროდუქტის, სამხედრო ხარჯების, მოსახლეობის (მათ შორის 18-დან 38 წლამდე), რეგულარული შეიარაღებული ძალებისა და რეზერვების, სახმელეთო ჯარების, საზღვაო ძალებისა და საჰაერო ძალების პირადი და საბრძოლო შემადგენლობის, ძირითადი შეიარაღების რაოდენობის, კლასებისა და ტიპების მიხედვით ამ სახელმწიფოთა სამხედრო შესაძლებლობების გულდასმით შესწავლა, აგრეთვე ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის (ევროთათბირის) ეგიდით 1990 წლის ნოემბერში პარიზში დადებული „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების“ (Treaty on Conventinal Azmed Forces in Europe - CFE) XIII მუხლის თანახმად მის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შორის ევროპის ტერიტორიაზე განლაგებული მათი შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეტევითი შეიარაღების შესახებ ინფორმაციის ყოველწლიური გაცვლის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო საზღვრებთან განლაგებული მეზობელი სახელმწიფოების სახმელეთო ჯარებისა და საჰაერო ძალების შენაერთებისა და ნაწილების განლაგებისა და დაკომპლექტებულობის (სამობილიზაციო და საბრძოლო მზადყოფნას) განსაზღვრა.

საგანგებოდ შევჩერდებით მესამე ფაქტორზე. CFE — ხელშეკრულების XIII მუხლის საფუძველზე მისი მონაწილე თითოეული სახელმწიფო ყოველი წლის დასაწყისში ვენაში აგზავნის საკმარისად დეტალურ ინფორმაციას ევროპის ტერიტორიაზე განლაგებული მისი ჩვეულებრივი შეტევითი შეიარაღების შესახებ. მათ განეკუთვნება საბრძოლო ტანკები, მოჯავშნული საბრძოლო მანქანები (ქვეითთა საბრძოლო მანქანები, ჯავშანტრანსპორტიორები, საბრძოლო სადაზვერვო მანქანები, საბრძოლო მანქანები მძიმე შეიარაღებით, მათ შორის მსუბუქი ტანკებიც), 100 მმ და მეტი ყალიბის საველე არტილერიის ქვემეხები, რეაქტიული საარტილერიო დანადგარები და ნაღმსატყორცნები, რეგულარულ ნაწილებში განლაგებული სატანკო ხიდგამყვანები, დამრტყმელი (მოიერიშე) ვერტმფრენები და საბრძოლო თვითმფრინავები (სადაზვერვოს ჩათვლით). გარდა ამისა, თურქეთის ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რუსეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ურალის ქედის აღმოსავლეთით და აშშ და კანადის კონტინენტური ნაწილები არ მიეკუთვნებიან ევროპის კონტინენტს და ამიტომ იქ განლაგებული შეიარაღება CFE ხელშეკრულების კონტროლს არ ექვემდებარება.

ხელშეკრულების მონაწილე 35 სახელმწიფოს მიერ ვენაში მოწოდებულ ინფორმაციებს სწავლობენ, საეჭვოს ამოწმებენ, შემდეგ ამრავლებენ და თითო ეგზემპლარს უგზავნიან ყველა მონაწილე სახელმწიფოს საგარეო საქმეთა ან თავდაცვის სამინისტროებს. საქართველოს ხელისუფლება 1998 წლის ჩათვლით ამ დოკუმენტებთან მეტ-ნაკლებად თავისუფლად უშვებდა დაინტერესებულ პირებს, მაგრამ შემდეგ მიიღეს კანონი, რითაც ვენიდან მოწოდებულ ინფორმაციას დაადეს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ გრიფი და მკვეთრად შეზღუდეს მასთან დაშვების მქონე პირების რიცხვი. ანუ სიტუაცია ისეთია, რომ ჩვენი მეზობელი თურქეთის, რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის სამხედრო ხელმძღვანელობები სისტემატურად გვაწვდიან საკმარისად დეტალურ ინფორმაციას საკუთარი ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ, საქართველოს ხელისუფლება კი უმალავს ამ ინფორმაციას სამხედრო თემატიკაში მომუშავე ჟურნალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, საქართველოს საზოგადოებას. ეს ყოველად ღია ინფორმაცია, რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებია სამხედრო სფეროში ქართული საზოგადოების გაცნობიერების საკითხში, შეგნებულად იმალება და ამრიგად ჩვენს საზოგადოებას ქვეყნის მართვაში ჭეშმარიტი მონაწილეობისაკენ გზა ეღობება.

დემოკრატია ბერძნულიდან სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ხალხის მმართველობას“. ხალხმა კი არჩევნების გზით თავისი მმართველობა რომ განახორციელოს, შესაბამისი ცოდნა და ინფორმაცია უნდა გააჩნდეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა ძირითად დარგში, მათ შორის სამხედრო სფეროშიც. ექიმი არის არა ის, ვისაც თეთრი ხალათი აცვია, არამედ ის, ვისაც გააჩნია სათანადო ცოდნა და გამოცდილება ავადმყოფთა განსაკურნავად. შესაბამისად ამომრჩეველი არის არა ის, ვისაც ხელში საარევნო ბიულეტენი უჭირავს, არამედ ის, ვისაც სათანადო ცოდნა და ინფორმაცია გააჩნია რომელიმე კანდიდატის ან პარტიის მხარდასაჭერად კვალიფიციური გადაწყვეტილების მიღებისთვის. ასეთი წინაპირობების შესრულების, ანუ ქართული საზოგადოების სათანადოდ გაცნობიერების გარეშე, თუნდაც საარჩევნო პროცესები ყოველგვარი დარღვევებისა და გაყალბებების გარეშე წარიმართოს, არჩევნები მაინც გაყალბებული იქნება ვინაიდან გაყალბებულია თავად საზოგადოების ცხოვრება, საქმიანობა და შეგნება. მრავალტირაჟიანი გაზეთები და სატელევიზიო კომპანიები გვერდს უვლიან საქართველოს სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების საჭირბოროტო საკითხების სათავეებში ჩახედვას, მეხუთე და მეათეხარისხოვანი პრობლემებზე დაობენ, აღტაცებულ დითირამბებს უმღერიან ამერიკელი სამხედრო სპეციალისტების მიერ ოთხი ქართული მსუბუქად შეიარაღებული საბრძოლო ბატალიონის მომზადებას, და ამ ძალას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გარანტად მიიჩნევენ. მაშინ, როდესაც 5 მილიონიან ნეიტრალურ ფინეთს თავისი სახმელეთო ჯარების საბრძოლო შემადგენლობაში ჰყავს 26 ბრიგადა ანუ 100-ზე მეტი საბრძოლო ბატალიონი (ოთხი სატანკო, ორი ან ოთხი მატოქვეითი, 40 ეგერთ (მსუბუქი მექანიზებული) და 56 ქვეითი), აგრეთვე ტერიტორიული თავდაცვის ჯარების 150 ცალკეული ბატალიონი და ასეული შესაბამისი არტილერიითა და სხვა ერთეულებით; 7 მილიონიან შვეიცარიას გააჩნია სახმელეთო ჯარების 13 დივიზია, ათი ცალკეული ბრიგადა (ხუთი ჯავშანსატანკო, სამი სიმაგრეთა დაცვის, ასიც ტერიტორიული თავდაცვის), 20 სხვადასხვა ტიპის ცალკეული პოლკი. ფინეთისა და შვეიცარიის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ამხელა ხარჯებს რატომ სწევს ყოველად უსაფუძვლოდ ასეთი მრავალრიცხოვანი სახმელეთო ჯარების შესანახად?

ცივი ომის პერიოდში მსოფლიოში არსებული მსხვილმასშტაბიანი სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე ლაპარაკი იყო სამხედრო მუქარების შესახებ. ცივი ომის დასრულების, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ-სა და ნატოს ბლოკში სამხედრო მუქარების ნაცვლად ალაპარაკდნენ უკვე სამხედრო რისკებისა და გამოწვევების შესახებ. ეს ტერმინები ჩვენშიც ფართოდაა გავრცელებული ევროატლანტიკური სივრცის ქვეყნებში დაფრთიანებული ქართველი სახელმწიფო მოხელეების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისაგან. ვნახოთ, რამდენად შეესაბამება ამ ტერმინების ხმარება ჩვენს რეალობას?

1998 წლის დასაწყისში თურქულ სარდლობას ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში ამიერკავკასიის მეზობლად განლაგებული ჰყავდა სახმელეთო ჯარების პირადი შემადგენლობის 87 ათასამდე ადამიანი, 540 საბრძოლო ტანკი, 125-ზე მეტი მოჯავშნული საბრძოლო მანქანა, 6850-მდე საველე არტილერიის ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, ათი დამრტყმელი ვერტმფრენი და სხვა შეიარაღება. რუსულ სარდლობას ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში (ამიერკავკასიაში სამხედრო ბაზების ჩათვლით) სახმელეთო და საჰაერო-სადესანტო ჯარების შემადგენლობაში ჰყავდა 77 ათასამდე პირადი შემადგენლობა, 670-ზე მეტი საველე საარტილერიო სისტემა, 80-ზე მეტი დამრტყმელი ვერტმფრენი და სხვა შეიარაღება. აღნიშნული სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე ნაჩვენები იყო საჰაერო ძალების 340-მდე საბრძოლო თვითმფრინავი და საჰაერო თავდაცვის ჯარების 90-მდე საბრძოლო და 235-მდე სასწავლო-საბრძოლო (შედარებით მოძველებული ტიპების) თვითმფრინავი (სულ 425-ზე მეტი საბრძოლო და 235-მდე სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავი).

განა საქართველოს საზღვრებთან ისტორიულად დაპირისპირებული ორი სახელმწიფოს მიერ ჩვეულებრივი შეტევითი შეიარაღების ასეთი მსხვილმასშტაბიანი კონცენტრაციის ფონზე მხოლოდ რაღაც რისკებსა და გამოწვევებზე უნდა ვლაპარაკობდეთ? მაშინ სამხედრო მუქარები რაღაა? თუ რისკებისა და გამოწვევების ტერმინებით მეტყველ და მოაზროვნე ქართველებს თავი აშშ-ის მოქალაქეებად წარმოუდგენიათ და უკვე დაავიწყდათ, რომ მათი საკუთარი სამშობლო საქართველო თავად მდებარეობს ევროატლანტიკური დასავლეთისა და აღმოსავლეთის სტრატეგიული დაპირისპირების ცენტრში და მისი სახელმწიფოებრივი ინტერესები სერიოზული მუქარების ქვეშაა. ჩვენი სიტყვების განსამტკიცებლად ქვემოთ მოვიყვანთ 1996 წლის აპრილში საქართველოში ნატოს ბლოკის ეგიდით ჩატარებულ კონფერენციაზე ამერიკელი ექსპერტის ქენეთ ბრავერის სიტყვებს: „ნატოს ქვეყნებში თავდაცვას არ უყურებენ სერიზოულად, რადგან აქვთ გრანტია ამერიკული ბირთვული იარაღის სახით. ნატოს ქვეყნები თავდაცვაზე ხარჯავენ საერთო ეროვნული პროდუქტის 2-2,5%-ს, აშშ კი ხარჯავს 5-6%-ს... მრავალ სხვა ქვეყანაში თავდაცვაზე ხარჯავენ საერთო ეროვნული პროდუქტის 5%-ზე მეტს და მაინც კარგი ეკონომიკური შედეგები აქთ...

ნატოს წევრ ქვეყნებში სამხედრო სამსახურში იყენებენ 18-38 წლის მამაკაცთა მხოლოდ 2-10%-ს. ეს იმიტომ, რომ ისინი დიდი ქვეყნებია. ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია, სინგაპური და ისრაელი საგანგებო ვითარებაში იყენებენ იმავე ასაკის მამაკაცების 100%-ს. რას ნიშნავს ეს? თუ ქვეყანაში ხუთმილიონიანი მოსახლეობაა, ნატოს პრაქტიკის თანახმად, ომის შემთხვევაში მხოლოდ 60 ათასი ადამიანი უნდა გაიწვიონ, მაგრამ რეალურად 5 მლნ კაცზე შესაძლებელია 550 ათასიანი არმიის მობილიზებაც. ეს დიდი ძალაა...

პატარა ქვეყანაში არმია (იგულისხმება მშვიდობიანობის დროის რეგულარული შეიარაღებული ძალები — ი.ს.) მოსამზადებელი სკოლაა. ნამდვილი ძალა რეზერვია. ყველა გაწვეული კარგად უნდა მომზადდეს, მაგრამ თითოეული ქვეყნის პრეზიდენტს სჭირდება სწრაფი რეაგირების ძალაც. ამისთვის საკმარისია 18 თვიანი გაწვევა. ამ ვადის პირველი მესამედის მანძილზე ჯარისკაცი გადის ინდივიდუალურ წვრთნას, მეორე მესამედი ეთმობა მომზადებას ნაწილში, ბოლო მესამედს კი ჯარისკაცი პრეზიდენტის ხელქვეით მსახურობს. შემდეგ ჯარისკაცი გადავა რეზერვში, მაგრამ მას ახალი შეცვლის. ესაა უწყვეტი ჯაჭვი და 5-6 წელიწადში იარსებებს მაღალკვალიფიციური არმია.

...გაწვევას უნდა დაექვემდებაროს ყველა, მაგრამ მიზანი არა დიდი ჯარია (იგულისხმება რეგულარული ჯარები), არამედ ინდივიდთა გაწვრთნა, შეკავშირებული, შეკრული ნაწილების შექმნა, რომელთა წევრებიც ერთ სარეზერვო ნაწილებში იმსახურებენ შემდგომი 20 წლის მანძილზე. ამის შედეგად მივიღებთ ფენოვანი ნამცხვრის მაგვარ სტრუქტურას. ზედა შრე იქნება დაუქორწინებელი ახალგაზრდობა — კომანდოსები. შემდეგი შრე ასევე ახალგაზრდებია, მაგრამ ოჯახიანები. მათგან შედგება ბრძოლისუნარიანი სახაზო ნაწილები. და ბოლოს, ასაკოვნები, რომელთაც შეუძლიათ შენობების დაცვა. როგორც ადამიანები დავყავით, ასევე შეგვიძლია დავყოთ მათი აღჭურვილობის ტიპებიც. ყველაზე კარგი იარაღი საუკეთესოებს უნდა მივცეთ. ასეა ფინეთში... იწყებთ პატარა ბირთვით და 20 წელიწადში გეყოლებათ 500 ათას კაციანი რეზერვი. იმედია ამ დროისთვის ფულიც გექნებათ“ (სათანადო შეიარაღების შესაძენად. — ი.ს.).

ასეთია ბატონ ქენეთ ბრაუერის რეკომენდაციები და ისინი ყველა ჭკუათმყოფელი ადამიანისთვის მისაღები უნდა იყოს, მაგრამ აქვე არის ერთი შეუსაბამობაც. საქმე იმაშია, რომ ფინეთისა და შვეიცარიის სახმელეთო ჯარების შეიარაღება მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოსთვის ევროთათბირის ეგიდით 1992 წელს ტამკენტში დადგენილ კვოტებს — 220 საბრძოლო ტანკი, 220 მოჯავშნული საბრძოლო მანქანა, 285 საველე საარტილერიო სისტემა. ამის სანაცვლოდ ზემოაღნიშნული ლონდონური წყაროს მიხედვთი 2000 წელს შვეიცარიის შეიარაღებაში შედიოდა 560-მდე საბრძოლო ტანკი (მათგან 370 „ლეოპარდ-2“), 1000-ზე მეტი მოჯავშნული საბრძოლო მანქანა და 1100-მდე საველე არტილერიის ქვემეხი და ნაღმსატყორცნი;

ფინეთის არმიის შეიარაღებაში — 230 საბრძოლო ტანკი, 1000-მდე მოჯავშნული საბრძოლო მანქანა და 1900-ზე მეტი საველე საარტილერიო სისტემა (1070-მდე ქვემეხი, 60 ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარი და 790-მდე ნაღმსატყორცნი).

გაგრძელება მეშვიდე გვერდზე

ამ ფაქტებს ვერ ნახავთ შევარდნაძის მემუარებში!

ქართულ საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ აფხაზეთი წინასწარ იქნა გაყიდულ-გასხვისებული, თუ ეს აზრი სწორია, მაშინ ისმება კითხვა: ვინ და რატომ გაასხვისა აფხაზეთი? ასევე საკითხავია: მაინც ვისი ფარული ბრძანებით ატოვებინებდნენ ქართულ საჯარისო ნაწილებს დიდი სისხლისღვრისა და დანაკარგების ფასად აღებულ პოზიციებს? იმისათვის, რომ დასმულ კითხვებზე სწორი პასუხი გავცეთ, საჭიროა აფხაზეთის ომის მიმდინარეობის ყველა ნიუანსი კარგად გავიხსენოთ! პირველი: სახელმწიფოს მეთაური 1992 წლის აგვისტოში საჯაროდ აკეთებს განცხადებას: „აფხაზეთში ჩვენ შევდივართ წესრიგის დასამყარებლად და რკინიგზის დასაცავად. უნდა დავიცვათ რკინიგზა აფხაზეთის მთელ პერიმეტრზე". ამის პარალელურად ე. შევარდნაძემ საჯაროდ რამდენჯერმე განაცხადა: „Мечом и огнем от реки Фсоу до Красного моста, и от Сарфи до Казбеги Грузию обьеденим!" — პირველი „პატარა" გაუგებრობა: რკინიგზის დასაცავად აფხაზეთში შესვლა თუ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი სამშობლოს ერთიანობისათვის? წლების შემდეგ შევარდნაძემ უსინდისოდ განაცხადა: კიტოვანი არ დამემორჩილა და თვითნებურად შეიჭრა აფხაზეთშიო. კიდევ უფრო გვიან, დსთ-ს მორიგ სამმიტზე გამგზავრებამდე 2-3 დღით ადრე, შევარდნაძემ საქართველოს ტელევიზიით გამოსვლის დროს საჯაროდ განაცხადა (თანაც ნაწყენ-გაბრაზებული (?!) ტონით) ყველამ კარგად ვიცით, აფხაზეთში რისთვისაც შევედით. „იქ რკინიგზის დასაცავად არავინ შესულა. ჩვენ იქ საომრად შევედით!"

შევარდნაძემ მალევე დაივიწყა მის მიერ ადრე გაკეთებული განცხადებები და გუმისთა-ეშეოაე გასული ჯარი კიტოვანის, გოდერძიშვილის და ყარყარაშვილის წინაალმდეგობის მიუხედავად მაინც გააჩერა. ახალი ათონისაკენ წინ წაწეული ქართული ნაწილები, რომლებმაც დახმარება ვერ მიიღეს, მტერმა უკანასკნელ კაცამდე ამოხოცა. დამნაშავეა სახელმწიფოს მეთაური! მან და მისმა მორჩილმა ხელქვეითებმა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი 23-24 წლის ახალგაზრდა ღია ეთერში დასვეს, რომელმაც დაუფიქრებლად განაცხადა: „გავწყდებით 100 ათასი ქართველი, მაგრამ გავწყვეტთ 20 ათას აფხაზსაც და ომს ჩვენ მოვიგებთო" — საინფორმაციო ომის წასაგებად ეს ოთხი-ხუთი სიტყვაც საკმარისი იყო.

შევარდნაძემ ჯარი ეშერასთან (შემდეგ დაბლა, მდინარე გუმისთაზე გადმოიყვანეს) შემდეგი მოტივით გააჩერა — აქ გამოვიდნენ ზოგიერთები (კიტოვანი და გოდერძიშვილი იგულისხმა), ისინი აზრზე არ არიან, რა შეიძლება მოხდეს! მათ ვერ წარმოუდგენიათ საქმის რეალური ვითარება?! გუდაუთაში შესვლა დაუშვებელია! აფხაზ მოსახლეობაში იქნება არნახული მსხვერპლი. (ეს მაშინ, როცა მთელი რაიონი დაცლილი იყო აფხაზი მოსახლეობისაგან!) შევარდნაძეს სინამდვილეში ქართველი ხალხის (ჯარის) უნებლიე, გაუთვალისწინებელი გამარჯვების შეეშინდა — უფროსი ამხანაგები რუსეთის მთავრობიდან მკაცრად მოთხოვდნენ პასუხს! პრობლემები შეექმნებოდა. მხოლოდ ეს აღელვებდა მაშინ. „ამას ჩვენ (სინამდვილეში კი — მას). არავინ გვაპატიებს! ამას არც ისტორია გვაპატიებს ჩვენ"! ეს დაუშვებელია! საკვირველი და გასაკვირია პირდაპირ! ენგურზე გადმოსვლამდე რაზე ფიქრობდა მსოფლიო პოლიტიკოსი?! — იგულისხმებოდა კიტოვანისა და გოდერძიშვილის სიტყვა: ჯობია ჯარი დღესვე გადავიდეს შეტევაზე, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. ვიდრე ვიდგეთ აქ, საბოლოოდ მსხვერპლიც მეტი იყოს, გამარჯვებულიც ვინ იცის, ვინ იქნებაო (14-16-17 აგვისტო — 1992 წელი).

საინტერესოა, შევარდნაძის ამ განცხადებამდე 1-2 დღით ადრე, მაშინ, როცა ქართული საჯარისო ნაწილები სოხუმის დასავლეთ ნაწილში არ იყვნენ შემოსული, მაგრამ უკვე იდგნენ სოხუმში „Красни мост"-თან, სახელმწიფოში მეორე კაცად მიჩნეულმა ჯაბა იოსელიანმა განაცხადა: ქალაქში შეიარაღებული შესვლა არ მიმაჩნია გამართლებულადო (?!) საინტერესოა, რატომ ცოტა ადრე ენგურზე გადმოსვლამდე არ იფიქრა ამაზე ჯაბა იოსელიანმა?

შემდეგ იყო 3 სექტემბრის ხელშეკრულება. ხელშეკრულებას ხელი შევარდნაძემ მოაწერა, რომლის საფუძველზეც ქართულმა საჯარისო ნაწილებმა სამხედრო თვალსაზრისით მომგებიანი ეშერის მაღლობი ადგილებიდან, დაბლა, მდინარე გუმისთაზე გადმოინაცვლეს. 3 სექტემბრის ხელშეკრულების მიხედვითვე მოხდა გაგრიდან ქართული საჯარისო ნაწილების უკან კოლხიდის ქართულ საშუალო სკოლამდე დახევა და რაც მთავარია, გაგრიდან მთელი რიგი შეიარაღებული ნაწილები თბილისში დააბრუნეს! „შევარდნაძემ, ფაქტობრივად განაიარაღა ქალაქის დამცველები! მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ფრიად სავალალო მდგომარეობა შეიქმნა, მთავრობის ბრძანებით სკოლებში სწავლა მაინც 1 ოქტომბერს დაიწყო (მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის კომენდანტი გამუდმებით მოითხოვდა თბილისიდან მაშველ ძალას, დახმარება არ მოსულა). 2 ოქტომბერს კი ქალაქში, სადაც ჩიტიც ვერ შემოფრინდებოდა, მოძალადე მტრის ჯარისკაცები შემოიჭრნენ და არნახული ცოდვის კალო დაატრიალეს. ათასობით უდანაშაულო ადამიანი ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე დახვრიტეს! საკმარისია გაგრის სტადიონზე განხორციელებული ვანდალური აქტები გავიხსენოთ! იყო გმირობის ცალკეული შემთხვევები: ძიძიგური, ქუთათელაძე, გელოვანი.. ყარყარაშვილისა და ფორცხელანის ცალკეული ჯგუფების მცდელობები! მაგრამ ეს იყო ზღვაში წვეთი. შევარდნაძის მიერ განიარაღებული ქ. გაგრა მაინც დაეცა! შევარდნაძე „სასწრაფოდ" ჩამოფრინდა დაბა ლესელიძეში. აღუთქვა ხალხს — განთიადი-ლესელიძე იქნება კარგად დაცული! გამორიცხულია, აქ გაგრის ამბები გამეორდეს!!! ნურაფრის შიში გექნებათ! — დაამშვიდა ხალხი. და უკანვე გაფრინდა იმავე დღეს! 4-5 ოქტომბერს კი განთიადი-ლესელიძეს მოსახლეობასაც იგივე ბედი ეწია, რაც 2-3 დღით ადრე ქ. გაგრის ქართულ მოსახლეობას გადახდა თავს. ათასობით ადამიანი აქაც ეროვნული ნიშნით გამორჩეულები, ქალაქის ქუჩებსა თუ სახლებში დახვრიტეს!

1992-93 წლების ზამთარში ადგილი აქვს ასევე ოჩამჩირის რაიონის ყველაზე დიდი ქართული სოფლის კოჩარის მოსახლეობის საერთო აზრის იგნორირებას (მთავრობის მხრივ). სოფელს ტოვებენ მაშველი ძალის მოხმარების გარეშე! თვითონ სოფელში კი მოსახლეობის უმეტესობას იარაღი არ გააჩნდა! (შეგნებულად არ მისცეს იარაღი) ასეთ ვითარებაში აფხაზებმა და დაქირავებულებმა ადვილად დაძლიეს კოჩარელების წინააღმდეგობა! სოფლიდან დროზე ვინც ვერ გაიღწია, მომხდურებმა ყველა მამაკაცი ჩახოცეს!

შემდეგ იყო შრომა-ახალშენის იგივე სცენარით დაკარგვა! ყველასათვის ცნობილი კამანის ტრაგედია! როცა 30-მდე ქართველი მებრძოლი ავტომატებითა და ერთი პულიმიოტით შეიარაღებული არნახულ გმირობას სჩადიოდა გაცილებით მრავალრიცხოვან მტერთან უთანასწორო ბრძოლაში! — დახმარება კი არსაიდან ჩანდა! არადა დახმარებას ითხოვდნენ კამანის გმირი დამცველები, მაგრამ (მათ შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენლებმა „პანიკიორეიც" კი უწოდეს. შევარდნაძის მთავრობის მიერ დახმარება აკრძალული იყო! — კამანელებს დახმარება არავინ გაუწია! იძალა, საბოლოოდ მტრის დიდმა სამხედრო შენაერთმა და 30-ივე მებრძოლი (მათ შორის 1 ქალიც ერია) ზედ ბრძოლის ველზე გმირულად აღესრულა. ყოფილი პრეზიდენტი არასდროს შეხებია კამანის თემას.

შევარდნაძე 1993 წლის 27 ივლისს დადებული ხელშეკრულების გარანტადაც დაუდგა ხალხს! აღუთქვა, მე პირადად ვაგებო ამ ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხს!!! ხელშეკრულება რომ არ შესრულდებოდა მოწინააღმდეგის მხრიდან, ეს იმთავითვე ცხადი იყო! მოწინააღმდეგე მხარეს არ მოუხდენია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარისო ნაწილების 20-25 კილომეტრით ახალ ათონამდე უკანდახევა! — არც გუმისთას აქეთ დაკავებული ქართული სოფლებიდან (რომელი სოფლებიც სოხუმს ზედ დაჰყურებს) გაუყვანია ჯარი. ასეთ პირობებში შევარდნაძემ თითქმის პირწმინდად განაიარაღა ქ. სოხუმის დამცველები! — ისევე, როგორც გაგრაში. დატოვა ისინი ცარიელი ავტომატების ამარა! დანარჩენი მძიმე შეიარაღება 20-25 კილომეტრის მაგივრად ფოთში იქნა გადატანილი?! (რუსული გემებით — ჩვენ კი სინამდვილეში რუსეთს ვებრძოდით!) დევნილები კი საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან მოტყუებისა და იძულების გზით (გამოყარეს დროებითი განსახლების ადგილებიდან), პირველი სექტემბრისათვის სწავლის დაწყების მოტივით მის მიერვე განიარაღებულ ქალაქში დააბრუნეს! — 15-16-17 სექტემბერს, როცა ბრძოლები განახლდა, მოტყუებული მშვიდობიანი სოხუმელები — ძირითადად ქალები, ბავშვები, ხანშიშესულები, მიხვდნენ საქმის ვითარებას და ქალაქის დატოვება დააპირეს! ყველას კარგად გვახსოვს ქუჩაში გამოსული სახელმწიფოს მეთაური! მსოფლიო პოლიტიკოსმა ყველანი დააწყნარა და დაამშვიდა. ნურაფრის გეშინიათო, — სთხოვა ხალხს. ნუ დატოვებთო ქალაქს (რაში დასჭირდა?) მე ბოლო ქართველი დავტოვებო ქალაქს! — შევარდნაძემ შეპირების მიუხედავად, მაინც დატოვა ქალაქი. მისგან მოტყუებული და განწირული სოხუმელები კი ათასობით გაწყვიტეს მის მიერვე მოწვეულმა კბილებამდე შეიარაღებულმა ჯალათებმა! ეს იყო მანამდე გაუგონარი, არნახული გამეტება და დასჯა საკუთარი ხალხის — სახელმწიფოს მეთაურის მიერ განხორციელებული!!!

კორიდორი კი, რომლის გაკეთებაც მსოფლიოში დადგენილი და მიღებული წესია, გაკეთდა არა უმოკლესი (კოდორის ხიდით ზუგდიდისაკენ), არამედ ყველაზე ძნელად სავალი, უშორესი სვანეთის გზით? რუსეთის სპეცსამსახურებში შემუშავებული და შევარდნაძის მიერ განხორციელებული აქტი რამდენიმე მზაკვრულ აზრს, მიზანს ისახავდა: 1. საქართველოს ძირძველი ორი კუთხის ერთმანეთზე გადაკიდება-გადამტერებას! და ამით საქართველოს, როგორც ერთიანი ქვეყნის ფაქტობრივ დაშლას. 2. შევარდნაძის და მისი რეჟიმის მთავარი საზრუნავი გახლდათ ის, რომ ვინც სოხუმში არ ჩარჩა და ჩაიხოცა, იმ ხალხის ნაწილი თოვლიან უღელტეხილზე ჩახოცილიყო!! ისინი კი, ვინც მაინც ცოცხალი გააღწევდა „სამშვიდობოს", არც იარაღი, არც ქონება (ფული, ძვირფასეულობა) არ უნდა გამოჰყოლოდა!!! შევარდნაძის რეჟიმს რეალური შიში ჰქონდა ლტოლვილთა დიდი ნაკადის და მათი რისხვის. მით უმეტეს, თუ ამ ნაკადს იარაღიც და ცხოვრების სახსარიც თან გამოჰყვებოდა. ამისათვის დაახვედრეს ლტოლვილებს საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან შეკრებილი ყაჩაღები და პირწმინდად გააძარცვინეს.

> *აფხაზეთის დაკარგვა-გაცემა-გასხვისება შევარდნაძემ 1978 წელს დაიწყო. სამართლიანად ისმება კითხვა: ამ და სხვა დანაშაულობათა ჩამდენი, როდემდე უნდა იყოს დაუსჯელი? როდემდე უნდა იჯდეს კრწანისის რეზიდენციაში?*

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ სოხუმიდან წამოსული ლტოლვილთა დიდი ნაკადი იარაღითა და მოძრავი ქონებით თბილისში გადმოსული და ცოცხალი ჟიული შარტავა. ცხადია, შევარდნაძის რეჟიმს სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა! სწორედ ამიტომ გაიწირა სოხუმ-გულრიფშის მოსახლეობა და ცხონებული ჟიული შარტავაც! — შარტავა, რომელსაც ლტოლვილ მოსახლეობაშიც და დანარჩენ საქართველოშიც დიდი ავტორიტეტი და ნდობა-გავლენა გააჩნდა.

დასკვნა შეიძლება ასეთი გავაკეთოთ. რუს-აფხაზებსა და შევარდნაძეს საომარი პირობების შექმნაც, ომის დაწყებაც და საქართველოს დამარცხებაც დროის გაცილებით მოკლე მონაკვეთშიც შეეძლოთ (1 ან 2 კვირა, 1 ან 2 თვე), მაგრამ ომის იმიტაციის შესაქმნელად და ქართველების ენგურს აქეთ გამოსაყრელად არ იყო საკმარისი 1 და 2 კვირა და არც 1 და 2 თვე! საჭირო იყო ბევრი სისხლისღვრა, ცრემლი, ტანჯვა-წამება და შიში, რათა „გამარჯვებულ" აფხაზებს რუსი გენერლებისა და მთავრობის წევრების მითითებისა და კარნახის გარეშე, ქართველები გამოეყარათ აფხაზეთიდან!

მოკლედ, შევარდნაძეს, რომელსაც ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების განდევნის შემდგომ — რუსეთის მთავრობაში საქართველოს პირველი პირის სავარძელი აჩუქეს, დაავალეს: დაიწყე აფხაზეთში „ომი" და წააგეო. შევარდნაძე ის კაცი არ გახლდათ, ვინც სკამზე უარს იტყოდა. მან სკამისათვის და ნათესაური კლანის კეთილდღეობისათვის გასწირა ათიათასობით ქართველის სიცოცხლე და პირწმინდად დაამარცხა აფხაზეთის ქართველობაც და დანარჩენი საქართველოც. სწორედ ამისათვის მოხდა 1991-92 წლების გადატრიალება, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას განდევნა! არც შევარდნაძე იყო შემთხვევით შერჩეული საქართველოს მარიონეტ მმართველად. მარიონეტობის მოსურნე სხვა ქართველს შეიძლება გასჭირვებოდა ყველა იმ ბოროტებისა და სისაძაგლის ჩადენა, რაც რუსებმა შევარდნაძეს საქართველოში ჩაადენინეს! მათ სჭირდებოდათ კაცი, რომელსაც მორალური მუხრუჭები საერთოდ არ გააჩნდეს, ანუ — ცალად კი შევარდნაძე შეიცნეს!

არც 1972 წელს გახლდათ შემთხვევითი ცეკას პირველ მდივნად შევარდნაძის დანიშვნა. საბჭოთა სახელმწიფოს შუალედურ თუ მაღალ სტრუქტურებში მომუშავე რუსი თუ არარუსი ჩინოვნიკების დიდი ნაწილი (თუ უმეტესი არა), აღარ ფიქრობდა სოციალიზმის აშენებაზე მით უმეტეს, კომუნიზმის (რევოლუციის მომხდენი თაობა და მათი იდეების მატარებელი ეროვნული ხალხი თანდათანობით მცირდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს სტრუქტურებში), ეს ხალხი არ იმყოფებოდა ფუჭი ილუზიების ტყვეობაში — მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის მოწყობაზე ფიქრობდა. მაგრამ მათ შორის უკვე მაშინ ერივნენ ისეთებიც, ვისაც ცალკე რუსული ნაციონალ-შოვინისტური აზრები და იდეები აწუხებდა (სუსლოვის მსგავსნი)... ეს წრეები კარგად ხედავდნენ, რომ საბჭოთა საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენები ციტრუსების მოშენება-გაყიდვით დიდ სარგებელს ნახულობდა და მდიდრდებოდა! ქართველი ხალხის გამდიდრება ერის გაძლიერებას ნიშნავდა. ეს კი მიუღებელი იყო რუს-საბჭოთა ნომენკლატურისათვის ამიტომ ანტიქართული ქმედებებით უკვე 60-იანი წლების დასაწყისიდან შემჩნეული შევარდნაძე დააწინაურეს. შევარდნაძემ ხელისუფლებაში მოსვლის პირველსავე წელს აკრძალა ციტრუსების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანა, ამით აფხაზეთის აფხაზურ და სომხურ მოსახლეობაში სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერებასაც შეუწყო ხელი. ციტრუსი, რომლის გატანა-რეალიზაცია ქართველ გლეხმწარმოებელს, მანამდე უმნიშვნელო თანხა უჯდებოდა, უკვე ათმაგი და ოცმაგი დაუჯდა! ქართველი მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ მიატოვა ციტრუსების რუსეთში გატანა. ფულს შოულობდა გადამყიდველების კასტა და განსაკუთრებით კი შინაგან საქმეთა სამინისტრო, სადაც ე. წ. „ზალატოი პოსტებიდან" ურიცხვი თანხა გროვდებოდა და დაბალი სტრუქტურებიდან შუალედური სტრუქტურების გავლით მიედინებოდა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. მოსკოველმა „პატრონებმა" ქართველი მწარმოებელი ფენის დაჩაგვრა დაუფასეს შევარდნაძეს — ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი გახდა. თუმცა სანამ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი გახდებოდა, მანამდე მორიგი ანტიქართული საქმე უნდა გაეკეთებინა — საქმე ეხება 1977-78 წლების აფხაზეთის, კერძოდ, გაგრის მოვლენებს! ამ პერიოდისათვის აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა მოითხოვს მთელი რიგი ანტიქართული აქტების განხორციელებას; თანამდებობებიდან ქართველების მოხსნას, მათ ადგილზე აფხაზი ეროვნების კადრების მოზიდვას, ქართული ენის აკრძალვას და სხვადასხვა. გაგრაში გადახერხეს რუსთაველის ძეგლი, ბზიფის და გაგრის ქართულ საშუალო სკოლებში გაჩნდა წარწერები: სიკვდილი ქართველ ბავშვებს. რასაკვირველია ამან რაიონის ქართული მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ერთი მეორის მიყოლებით ჩატარდა ქართული მოსახლეობის შეკრებები და მიტინგები. სასარგებლო მუშაობას ეწეოდა ხალხში არკადი მარკოზიას ჯგუფი. ამ ჯგუფის მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ მიტინგზე, რომელიც 1978 წლის სექტემბერში გაგრის სტადიონთან გაიმართა, ჩამოვიდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი პირები თბილისიდან და მათ შორის ცეკას პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე. ის სიტყვით გამოვიდა მიტინგზე. დაანწყნარა და დაამშვიდა ხალხი. 3 თვე მაცალეთო, მოითხოვა მან. სამ თვეში ყველაფერს, როგორც თქვენ გინდათ და მოითხოვთ, ისე მოვაგვარებო. ამ და სხვა სიტყვებით და შეპირებებით შევარდნაძემ ხალხი დააწყნარა და დაამშვიდა. 3 თვის შემდეგ შევარდნაძე საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი გახდა. არკადი მარკოზიას ჯგუფს კი შევიწროვება და დევნა დაუწყეს. ჯგუფის ზოგიერთი წევრი, მათ შორის არკადი მარკოზიაც დააპატიმრეს. ვინც დაპატიმრებას „გადაურჩა", მორალური და ფსიქოლოგიური ტერორის წნეხის ქვეშ ჰყავდათ წლების განმავლობაში. სამაგიეროდ, უკვე პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა ყველა მოთხოვნა შეუსრულა აფხაზ სეპარატისტებს: გაუხსნა ტელევიზია, უნივერსიტეტი, ყველგან ხელმძღვანელ თანამდებობებზე აფხაზი ეროვნების პირები დაინიშნენ. აფხაზეთის დაკარგვა-გაცემა-გასხვისება შევარდნაძემ 1978 წელს დაიწყო. სამართლიანად ისმება კითხვა: ამ და სხვა დანაშაულობათა ჩამდენი, როდემდე უნდა იყოს დაუსჯელი? როდემდე უნდა იჯდეს კრწანისის რეზიდენციაში? 2003 წლის ნოემბერში მთავრობის სახლის წინ შეკრებილი 150-200 ათასი საქართველოს მოქალაქე და მთლიანად დანარჩენი საქართველოც მოუთმენლად ელის შევარდნაძის საკადრისად დასჯას. მკვდარი გზირის არ იყოს, პოლიტიკური „გვამი" შევარდნაძე ვერ მოისვენებს და კიდევ ეცდება ქვეყანას რამე ზიანი მოუტანოს. ესეც რომ არ იყოს, პოლიტიკური „გვამის", შევარდნაძის დაუსჯელობა დიდ ზიანის მომტანი იქნება ახლანდელი თუ მომავალი საქართველოსათვის! ასე ხომ სამართლებრივი სახელმწიფოც ვერ აშენდება და რაც მთავარია, სამშობლოს პოტენციური მოღალატეებისათვის იმედის მომცემი პრეცენდენტიც შეიქმნება!

რეზო გულედანი

ბოლოთი გვერდიდან

შესაბამისად შვეიცარული სარდლობა უფრო მეტ აქცენტს აკეთებს ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების მშენებლობასა და გამოყენებაზე, ფინური და მსუბუქი მექანიზებული და ქვეითი ჯარებისა.

ასეთი რაოდენობისა და ხარისხის შეიარაღების შეძენას, შენახვას და ექსპლუატაციას სჭირდება შესაბამისი ფინანსური ხარჯებიც. 1999 წელს ფინეთის სამხედრო ხარჯები შეადგენდა 1,7 მლრდ ამერიკულ დოლარს, შვეიცარიისა 3,1 მლრდ-ს. ნატოს მცირე ევროპული სახელმწიფოებისა კი: ბელგიის — 3,43 მლრდ; დანიის — 2,7, ნორვეგიის — 3,3 და პოტუგალიის — 2,3 მლრდ დოლარს. შესაბამისად, სანამ საქართველოს ყოველწლიური სამხედრო ხარჯები არ გავა 1,5-2 მლრდ. ამერიკული დოლარის ექვივალენტურ მაჩვენებლებზე, მანამ ჩვენ ვერ შევძლებთ ქვეყნის თავდაცვის უნარის მქონე შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას, ამისთვის კი საჭიროა, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი ყოველწლიურად შეადგენდეს სულ მცირე 30-40 მლრდ ამერიკული დოლარის ექვივალენტურ თანხას. შედარებისთვის იმავე 1999 წელს ფინეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 123 მლრდ, ხოლო შვეიცარიისა — 246 მლრდ ამერიკულ დოლარს, ხოლო მათი თავდაცვის ხარჯები უტოლდებოდა შესაბამისად ამ სიდიდის 1,4 და 1,2%-ს.

ასეთია თანამედროვე ევროპული მცირე სახელმწიფოს შესაძლებლობები და ზოგადი პარამეტრები (სამხედრო-ეკონომიკური, ფინანსური, შეიარაღებული ძალების რიცხოვნების, ჯავშანსატანკო ტექნიკისა და საველე საარტილერიო შეიარაღების) ქვეყნის თავდაცვის უნარის მქონე შეიარაღებული ძალების შესაქმნელად. მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც. ცივი ომის პერიოდში ფინეთი მდებარეობდა ნატოსა და ვარშავის ბლოკების ურთიერთშეხების უკიდურეს ჩრდილოეთ რაიონში, სადაც ორივე დაპირისპირებული სამხედრო ბლოკის მხრიდან მსხვილმასშტაბიანი ოპერაციების სახმელეთო წარმოება მეტად გაძნელებული იქნებოდა. შვეიცარია კი მდებარეობს ასევე ნეიტრალური ავსტრიის დასავლეთით, უნგრეთიდან იუგოსლავიის ტერიტორიის გავლით ვარშავის პაქტის ჯარების სამხრეთი ფლანგის — დასავლეთ გერმანიის სამხრეთ რაიონში განლაგებულ ჯარებზე შეტევის ძირითადი ხაზისგან მოშორებით. იგივეს ვერ ვიტყვით ავსტრიაზე, რომელიც ამ დაპირისპირებების ეპიცენტრში მდებარეობდა.

დღევანდელი საქართველო ასევე მდებარობს ერთი მხრივ აშშ-სა და რუსეთის სტრატეგიული დაპირისპირების საკვანძო რაიონში, ბათუმსა და ახალქალაქში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზები დაგნან ტრაპიზონისა და სარიყამიშ-არტაანის მხრიდან სრულად დაკომპლექტებული და მაღალ სამობილიზაციო მზადყოფნაში მყოფი, 48-ე ქვეითი და 25-ე მექანიზებული ქვეითი თურქული ბრიგადების, აგრეთვე მე-9 ქვეითი თურქული დივიზიის სავარაუდო შემოსვლის გზებზე. ამიტომ განა ენდომებათ დაპირისპირებულ დიდ სახელმწიფოებს (აშშ, რუსეთსა და თურქეთს) საქართველოს ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება? რატომ გვაიმედებენ, რომ თურმე ერთი ან ორი ბრიგადით შევძლებთ ქვეყნის თავდაცვის ამოცანების გადაწყვეტას, მაშინ, როდესაც ფინეთს ამისთვის სახმელეთო ჯარებში 26 ბრიგადა ჰყავს, შვეიცარიას — 13 დივიზია, არაფერს ვამბობთ ისრაელზე. თურქები კი მოინდომებენ საქართველოს ისეთნაირად გაძლიერებას, რომ მას 500-ათასიანი ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალები გააჩნდეს და რეგიონში საკუთარი პოლიტიკის წარმოების უნარიც ჰქონდეს? ან დასავლური საფინანსო საერთაშორისო ორგანიზაციები იღწვიან ჩვენში იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკამ და მრეწველობამ მკვეთრი აღმავლობა დაიწყოს? ყველაფრიდან ჩანს, რომ არა. ასევე ნებისმიერ საქმეში ჩახედული ადამიანისთვის აშკარად ნათელია, რომ ქვეყნის განვითარება და გაძლიერება ისევ ჩვენივე საკუთარი ძალებით, ნებითა და მონდომებით უნდა შევძლოთ, მაგრამ ამისთვის საჭიროა ამ აღმშენებლობის პროცესის საკვანძო ადგილებში (მიმართულებებზე, თანამდებობებზე) იყვნენ თავიანთი ქვეყნის გულშემატკივარი და საქმის მცოდნე ადამიანები.

ირაკლი ხართიშვილი

მაღალი სისხლის წნევა (ჰიპერტონია)

ჰიპერტონია მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა. იგი ერთდროულად, საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა და იმავე დროს ორგანიზმის ძალზე რთული მდგომარეობაც. არსებობს განსაზღვრული ურთიერთკავშირი სისხლის წნევის აწევასა და გარემოს მიმართ ადამიანის შემგუებლობას შორის. როდესაც ადამიანს არა აქვს კონფლიქტი გარესამყაროსთან, იგი თავს გრძნობს ლაღად, ძლიერად, ენერგიულად და მეტნაკლებად წარმატებულია ცხოვრებაში. თუ ადამიანს არ შეუძლია შეეგუოს პირობებს, რომლებსაც ცხოვრება სთავაზობს, წარმოიქმნება ორგანიზმის ფუნქციათა სხვადასხვა დარღვევები და ამ დროს ერთ-ერთი გამოვლენა გარემოს მდგომარეობის უარყოფითი გავლენისა ადამიანის ორგანიზმზე შეიძლება იყოს ჰიპერტონია. ჰიპერტონიასთან დაკავშირებული პრობლემის მნიშვნელობა თანდათან იზრდება, ვინაიდან იგი წარმოადგენს თანამდევ ფაქტორს გულისა და თირკმლების დაავადებებისას, რომელთაგან ყოველწლიურად იხოცება ჯანმრთელობის ნიადაგზე გარდაცვლილი ადამიანების საერთო რაოდენობის 75%. საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ჰიპერტონია დამოუკიდებელი დაავადება, თუ სხვა დაავადების სიმპტომია, ბევრ კამათს იწვევს. როცა დაავადების მიზეზი ჩვენთვის უცნობია, ჰიპერტონიას განვიხილავთ როგორც დამოუკიდებელ დაავადებას. მაღალი წნევის მქონე ადამიანებს ჩვეულებრივ ჰყოფენ ორ ჯგუფად: როცა მისი მიზეზი ნათლად არ ჩანს, მაღალი სისხლის წნევა (ჰიპერტონია) განიხილება როგორც პირველადი ჰიპერტონია და, თუ არსებობს დაავადების მკაფიო მიზეზები, იყენებენ ტერმინს — მეორადი ჰიპერტონია.

სამედიცინო ლიტერატურაში მოცემულია სისხლის წნევის მომატების გამომწვევი მექანიზმი. ადამიანის ორგანიზმში სისხლის მიმოქცევის სისტემაში დიდი დატვირთვა მოდის წვრილ სისხლძარღვებზე — არტერიოლებზე. ჰიპერტონიის საწყის სტადიაზე ხდება არტერიოლების მონაცვლეობითი შევიწროვება და ძილის დროს სისხლის წნევა უბრუნდება ნორმას, რადგანაც ამ დროს არტერიოლების შევიწროვება მცირდება. თუმცა ხშირ შემთხვევებში ეს სისხლძარღვები თანდათან კარგავენ ნორმალური დაჭიმულობის აღდგენის უნარს და დროთა მსვლელობაში დასვენება ვეღარ უზრუნველყოფს სისხლის წნევის დაბრუნებას ნორმაში. სამეცნიერო მედიცინის თანახმად, არტერიოლების შევიწროების ბუნება სისხლის მაღალი წნევის დროს შეიძლება ორგვარად აიხსნას. პირველი. სიმპათიკური ნერვული სისტემის ზეაქტიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც ორგანიზმს პესიმისტურად განაწყობს ბრძოლისა და დამარცხებისათვის მისი მომზადებით, რაც იწვევს არტერიოლების მასიურ შევიწროვებას. მეორე. ქიმიური ნივთიერებების გავლენასთან დაკავშირებით, რომლებიც ცირკულირებენ სისხლში და იწვევენ არტერიოლების შევიწროებას.

ჰიპერტონიით დაავადებულ პაციენტებზე მუდმივი დაკვირვებების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უმეტეს შემთხვევებში დაავადების მიზეზია ხასიათის ინდივიდუალური თავისებურებები. ჰიპერტონიით დაავადებული პაციენტების უმრავლესობა არიან აქტიური, ენერგიული, ნებისყოფიანი, საქმიანი ადამიანები, რომლებიც ისწრაფიან და ცდილობენ გააკეთონ რაც შეიძლება მეტი მოკლე დროში. ეს ადამიანები შეიძლება შევადაროთ დოღის ცხენებს. ასეთი პაციენტების და მათი ახლობლების გამოკითხვისას ირკვევა, რომ დაავადება მემკვიდრეობით არ გადასულა მათზე, არამედ მისი წარმოშობა განპირობებულია ამ ადამიანების ინდივიდუალური განვითარების თავისებურებებით ცხოვრების პირველივე დღეებიდანვე.

თუ რამდენიმე წლის განმავლობაში დავაკვირდებით სისხლის მაღალი წნევის მატარებელ ადამიანებს, ბევრ რამეს გამოვარკვევთ. მაგალითად, დაკვირვებების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ეს არის ფიზიოლოგიური მახასიათებელი და არა ორგანიზმის მდგომარეობა, რომელიც იცვლება ყოველდღიურად, კვირიდან კვირამდე, ამინდის შეცვლასთან დაკავშირებით, ფიზიოლოგიური აქტივობისა თუ დასვენების შესაბამისად, მიღებული საკვების მიხედვით, ტკივილების შეგრძნებებისა თუ ნერვული დაძაბულობის მიზეზით. განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ამინდი. ცივ ამინდებში აღინიშნება ყველაზე უფრო მაღალი სისხლის წნევა, სიცხეში — ყველაზე დაბალი. ზოგჯერ პაციენტს მნიშვნელოვნად უწევს წნევა სამედიცინო შემოწმებისას აღელვების გამო.

როგორია ხალხური მედიცინის პოზიცია ჰიპერტონიასთან დაკავშირებით?

კვების პროდუქტებიდან რეკომენდირებულია ნახშირწყლებით ყველაზე უფრო მდიდარი საკვები — ხილი, მწვანილი, კენკრა, თაფლი; მაშინ, როცა კვერცხი, ხორცი, რძე, ყველი, ბარდა, ცერცვი, ნიგოზი, თხილი, ანუ ცილებით მდიდარი და ნახშირწყლების მნიშვნელოვნად ნაკლები შემცველობის საკვები უნდა მოვიხმაროთ ზომიერად. ჰიპერტონიის ჩამოსაყალიბებლად უპირველესი წინაპირობა, რასაც ადამიანები, სამწუხაროდ, ყოველდღიურად აკეთებენ, არის ნახშირწყლების დაბალი შემცველობის მქონე ცილოვანი საკვების მიღება დიდი რაოდენობით. ადამიანი გაუაზრებლად ზრდის ცილების მიღებას ორგანიზმში ენერგიის მარაგის შესაქმნელად, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ გაუძლოს დაძაბულობას ცხოვრების მზარდი ტემპის პირობებში. ცილოვანი საკვების გაზრდილი ოდენობით მოხმარება არ მოგვიტანდა ზიანს, თუკი სისხლის ტუტიანობის მომატებას, რასაც განაპირობებს ასეთი საკვები, დავაბალანსებთ ორგანული მჟავებით, რომელთაც შეიცავს ვაშლის ძმარი, ყურძნის წვენი (დამტკბარი), ვაშლი, ლიმონის წვენი (დამტკბარი), შტოში (Клюква) და სხვა. სისხლს ყოველთვის ტუტე რეაქცია აქვს. მაგრამ ტუტიანობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. ტუტიანობის გაზრდისას სისხლი იწყებს შედედებას და მასში წარმოიქმნება ნალექი ძალიან წვრილი ფანტელების სახით. სისხლის პლაზმა (სითხე) გადის უწვრილესი სისხლძარღვების კედლებში მსგავსად იმისა, როგორც მელანი გადის საშრობ ქაღალდში. მაგრამ შესქელებული სისხლი ძნელად თუ გააღწევს უწვრილეს სისხლძარღვთა კედლებში. უმცირესი ზომის ფანტელები [illegible] ზოგიერთ ასეთ სისხლძარღვ[illegible] დენიმე ხნის შემდეგ ხდება სისხლის უკუდინება, რის გამოც იზრდება სისხლის წნევა.

რას გვთავაზობს ხალხური მედიცინა ამასთან დაკავშირებით?

1. ხალხური მედიცინა გვირჩევს გავზარდოთ ორგანული მჟავების ყოველდღიური მოხმარება სხვადასხვა ფორმით, მაგალითად, ვაშლის ძმრის, ვაშლის, ყურძნის, შტოშის და მათი წვენების სახით. ყოველდღიურად აუცილებელია მივირთვათ ხილის ისეთი რაოდენობა, რომელიც ექვივალენტურია 4 ჭიქა წვენისა. ხილი შეიძლება მივიღოთ ჭამამდე ან ნებისმიერ ჩვენთვის მოხერხებულ დროს. მჟავის მისაღებად ვაშლის ძმრის სახით საკმარისია 1 ჩაის ჭიქა წყალში შერეული 2 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი.

2. გადახედეთ თქვენს ყოველდღიურ რაციონს და გაანალიზეთ გამოყენებულ საკვებში ცილების და ნახშირწყლების რაოდენობა. თუ ცილები მეტია, შეეცადეთ უფრო სწორად დააბალანსოთ რაციონი ამ ორი კომპონენტის შემცველობის მიხედვით.

3. ხორბლის ფქვილისაგან დამზადებული საკვების ნაცვლად გამოიყენეთ სიმინდის ფქვილისაგან დამზადებული. რამდენადაც თირკმელები არის სითხის გამოყოფის ორგანო, შარდის მაღალი ტუტე რეაქცია (რომლის გამოჩენასაც განაპირობებს ხორბლის ფქვილი, რაფინირებული შაქარი და ხორცი) მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია სისხლში ტუტის შემცველობის შემცირება.

4. ჩვეულებრივი სუფრის მარილი იზიდავს და აკავებს სითხეს ორგანიზმში. ამიტომ მაღალი წნევისაკენ მიდრეკილების მქონე ადამიანებმა რაციონიდან უნდა ამოიღონ მარილიანი პროდუქტები. მარილიანი საკვების შემდეგ ყოველთვის გვწყურდება. ჭარბი სითხე, რომელიც გროვდება სისხლში, იწვევს წნევის გაზრდას, ვიდრე არ გამოიდევნება იგი ორგანიზმიდან. როცა მარილს და მარილიან საკვებს ამოვიღებთ რაციონიდან, სისხლი ადვილად გასცემს მის შემადგენლობაში მყოფ სითხეს და სისხლის წნევაც მცირდება.

თაფლი იწვევს საწინააღმდეგო მოქმედებას. ყოველი ჭამის შემდეგ თუ მივიღებთ თაფლს, იგი სისხლს გამოაცლის ჭარბ სითხეს, რითაც შემცირდება სისხლის წნევა; ამასთანავე, თაფლი მოქმედებს რა როგორც დამამშვიდებელი, იგი ამცირებს ნებისმიერ დაძაბულობას, რომელიც თავის მხრივ იწვევს ნერვული სისტემის დარღვევებს და ამის შედეგად — სისხლის წნევის მომატებას.

Д.С. Джарвис. Мед и другие естественные продукты. Апимондия. 1981.

***P.S.** მკითხველის საყურადღებოდ. გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ საკვებ პროდუქტებში ცილებისა და ნახშირწყლების შემცველობებს.*

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ასლი საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ ლ. ბერძენიშვილს

ბატონო პრეზიდენტო! სხვადასხვა ყაიდის ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა და ბოლშევიკებმა 1918-1920 წლებში რომ გაგვწირეს, იმ დღიდან 80 წელზე მეტია, საინგილოს სამივე რაიონის ე. წ. მაჰმადიანი ინგილო-ქართველები საშინელი ასიმილაციისა და შევიწროების მსხვერპლნი ვართ. არ დაიჯერებთ, მაგრამ სიმღერაც კი აგვიკრძალეს და დაგვაკარგინეს. დღეს რომ საინგილოში ბავშვი იზრდება, მას ჰგონია, რომ სიმღერა მხოლოდ თათრული (აზერბაიჯანული) არსებობს. 1918-1920 წლებში ახლადშექმნილი სახელმწიფო — აზერბაიჯანი — ისეთი ძალით დაგვაწვა გასანადგურებლად და გადასაგვარებლად, როგორც დამპყრობელი ირანის შაჰებიც კი არ მოქცეულან. ჩვენი განვითარების საათი გაჩერდა, დასამარდა ჩვენი ფოლკლორი. შეწყდა ყანებში „ჰოპუნა“. შევარდნაძის რეჟიმის დამხობამ, რომელიც ცეკას მდივნებს შორის, უკიდურესი გულგრილი დამოკიდებულებით გამორჩეოდა ინგილოთა პრობლემებისადმი, ჩვენც იმედი მოგვიტანა. იმედის მომცემია ბოლო 5-6 თვის რამდენიმე ამბავიც. სახელდობრ:

1. ჩვენში 1968 წლიდან, 35 წლის განმავლობაში ჩახშობილი თბილისის ტელეგადაცემის აღდგენა „იმედის“ არხის მეშვეობით. დიდი მადლობა მათ, ვინც ეს დიდი საჩუქარი გაგვიკეთა!

2. შემდეგი სასწაულია ის, რომ მ. წ. აპრილის შუა რიცხვებში საქართველოს განათლების მინისტრი, ბატონი კახა ლომაია 35 წლის შესვენების შემდეგ, ზაქათალა-ბელექნის რაიონების სოფლებშიც მოვიდა და ჩვენი ყოფით დაინტერესდა.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თქვენ იუსტიციის მინისტრი იყავით, 2-3-ჯერ ტელევიზიით ჩვენნაირ თათრულად შერქმეული გვარის მქონე ინგილოთა მისამართით თქვით: „... ასეთ ინგილოებს უნდა დავეხმაროთ თავიანთი ქართული გვარების აღდგენაშიო!“ ახლა, 80 წელზე მეტი ხნის განმავლობაში უპატრონოდ მიგდებულ ინგილოებშიც კი აღნიშნულმა კეთილმა ამბებმა სიხალისე გააღვიძა და იმედი მისცა, რომ ახალი საქართველო ღირსეულ პატრონად დაგვიდგება!..

სამწუხაროდ, მადლობებთან ერთად აქვე სამდურავიც უნდა ვთქვათ: 25 აპრილს, როდესაც თბილისში მეჩეთი მოინახულეთ და პატარა განცხადებაც გააკეთეთ, არა მარტო XX და XXI საუკუნეების, არამედ დავით აღმაშენებლის დროინდელ ქართველთა სრულ ტოლერანტობასაც შეეხეთ სხვა რელიგიებთან მიმართებაში. ერთსულოვნად ველოდებოდით, რომ ჩვენც გვახსენებდით. ჩვენთან ხომ ქრისტიანობაში დაბრუნებულ მაჰმადიან ოჯახებს (სოფელი ალიაბადი) სასტიკი დევნით უმასპინძლდებიან დღეს „ჩვენი მეგობარი“ აზერბაიჯანის მმართველები!

თქვენ უნდა იცოდეთ, საქართველოს ხელისუფლება განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე როგორ უყურადღებოდ გვეპყრობოდა:

1. საქართველო არა თავისი ინიციატივით, არამედ იოსებ სტალინის მითითებით II მსოფლიო ომის შემდეგ, საინგილოს სამივე რაიონის ე. წ. მაჰმადიანი ინგილოებითაც დაინტერესდა ცოტათი, რაც გამოიხატა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბიან, ხოლო ქრისტიანი ინგილოები რომ აითვისებენ მთელ იმ ადგილებს, მათი დიდი უმრავლესობა, როგორც ეს განვლილ 30 წელში იყო, საინგილოში აღარ დაბრუნდება.

ე. ი. ისევ საინგილოს ქართველებისაგან დაცლაში და მაჰმადიან ინგილოთა კიდევ უფრო გათათრების საქმეში საქართველო ისევ აზერბაიჯანის ასიმილატორული ხელისუფლების ბრმად ხელშემწყობი გამოდის! ე. ი. საქართველოში კეთდება ის, რაც აქაურ გამთათრებელ ხელისუფალთ მოეწონებათ. ამ შემთხვევაშიც საქმისადმი ასეთი დაუფიქრებელი დამოკიდებულება იმაზე მიგვანიშნებს, რომ თბილისში „ზოგიერთები“ არც საინგილოს იცნობენ და არც მის გუშინდელ და დღევანდელ ჭირ-ვარამს, მითუმეტეს არც თათარს იცნობენ, რომელთანაც ქართველმა ხალხმა 700 წელზე მეტხანს ღვარა სისხლი...

ბატონო მიხეილ, რაღა შორს წავიდეთ, ავიღოთ თქვენს გვერდით მყოფი ბატონი ზურაბ ჟვანია და ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. მათ საინგილოზე არაფერი იციან (როგორც არ იციან მინისტრებმა, მოხელეებმა, დეპუტატებმა და სხვებმა), რადგან პარლამენტში ყოფნისას ორივემ მრავალი წერილი მიიღო ჩვენი ხალხისაგან. სამწუხაროდ, თითიც არ გაანძრიეს ინგილოებისათვის და არაფერი გაგვიკეთეს, რაც ჩვენთვის ბაქოში კი არა, თბილისში იყო გასაკეთებელი?! ერთადერთი გამონაკლისი ის გახლავთ, რომ ქალბატონმა ნინომ 2002 წლის 29 იანვარს, ბაქოში ყოფნისას პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევს ჩვენს ეროვნულ და ადამიანურ უუფლებობაზე მეტად მორიდებით მიანიშნა, მაგრამ ამ ამბავს არაფერი სიკეთე მოჰყოლია გარდა მუქარისა და ჩვენი კიდევ უფრო დაშინებისა!..

სსრკ-ის დაშლის წლებში მომხდარმა დემოკრატიულმა ძვრებმა ე. წ. მაჰმადიანურ ინგილო-ქართველებში თავისი წინაპრების სარწმუნოების — ქრისტიანობის აღდგენისათვის მოძრაობა გაშალა. ადგილობრივი ხელისუფლების დევნისა და წნეხის პირობებში კი ასზე მეტმა ინგილო ოჯახმა აღიდგინა ქრისტიანობა. საქართველოს მხრიდან უპატრონოდ მიტოვებული ინგილო მოსახლეობა ავტომატის ტყვიების დაშენით ჰ. ალიევის სუკის ბიჭებმა დააშინეს და შეჩერდა ეს პროცესი... იმ საუკუნის 60-იან წლებიდან თუ ქართული გვარის აღდგენისათვის დაიწყო მოძრაობა, ახლა რჯულის აღდგენის პროცესი მიმდინარეობს. ამ ვითარებაში საქართველო ვალდებულია დაგვიცვას!..

როდემდე უნდა გვაბურთაოს საქართველოს ხელისუფლებამ? როდემდე უნდა ვაბაირამოთ თათარი ხელისუფალნი საინგილოში და ქვემო ქართლში, რათა ინგილოები და ლეკები „გააზერბაიჯანელების“ ლოზუნგის ქვეშ გაათურქონ, ხოლო ნადირ შაჰის მიერ 1735-1736 წლ. ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანიდან ქვემო ქართლში შემოსახლებული თათარ-თურქმენი ტომების „გააზერბაიჯანელებასთან“ ერთად მომავალში ქვემო ქართლზე თავისი ტერიტორიული პრეტენზიები დააკანონონ?! კმარა დათმობა, კმარა გულარხეინობა!

ბატონო მიხეილ, თქვენი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ ყოფნისას, ასევე ამ ბოლო 5 თვეში, ინგილოთა სხვადასხვა სოფლებიდან და სკოლებიდან ინგილოებმა და თბილისში შემორჩენილმა ჩვენებურებმა ათამდე წერილი გამოგიგზავნეს, მაგრამ ინგილოთა წერილებს (როგორც შევარდნაძის 32 წლიან ეპოქაში), არც ახლა მოჰყოლია რეაგირება. ამიტომ გადავწყვიტეთ გაზეთ „საქართველოს“ საშუალებით გითხრათ ჩვენს სიხარულზეცა და მწუხარებაზეც.

ლეილა ალიევი
(ფაჩხატაშვილი)
ეთერი მურაევი
(დათუნაშვილი)
მარიამ გულაჯოვა
(ნაცვლიშვილი)
იზოლდა რამაზანოვი
(ზურაბაშვილი)

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

აფხაზეთის დარეგულირების ახალი პროექტის (ზაქარეიშვილი, გ. ხაინდრავა, გეგეშიძე, კუბლაშვილი, ბაქრაძე, ხიდაშელი,

პროექტის 64 გვერდიან ტექსტს, რომლის გამოქვეყნებასაც გვპირდებიან უახლოეს დღეებში, არ ვიცნობთ, მაგრამ ადრინდელი პუბლიკაციებით და არაპირდაპირი გზით ჩვენთვის ცნობილია მისი რამდენიმე ძირითადი ხაზი, სახელდობრ:

1. საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსი განისაზღვრება როგორც „სუვერენული“ ან „სუვერენულის ნიშნების მატარებელი“ და აფხაზეთის ურთიერთობა დანარჩენ საქართველოსთან განისაზღვრება როგორც სახელშეკრულებო. ტერმინი „სუვერენული“, როგორც ცნობილია, ნიშნავს მხოლოდ დამოუკიდებელს გარე ურთიერთობებში და უზენაესს შიდა უფლებამოსილებათა განსაზღვრაში და შიდა ვითარების მართვაში. ხოლო ტერმინი „ხელშეკრულება“ ნიშნავს ნებაყოფლობით ურთიერთობას, რომლის შეწყვეტის უფლება მხარეებს აქვთ სათანადო წინასწარდათქმული სანქციების გათვალისწინებით ან ასეთ სანქციათა გარეშე. ამგვარად, აფხაზეთს, ზემოხსენებული პროექტის თანახმად, უჩნდება საქართველოდან გამოყოფის იურიდიული მექანიზმი, რომელიც მას დღეს არ მოეპოვება.

2. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ზემოხსენებული პროექტი ემყარება ე. წ. „ბოდენის გეგმას“, რომელიც გაეროშია წარდგენილი და რომლის ერთ-ერთი ძირითადი დებულება ის არის, რომ აფხაზეთის ხელისუფლების ექსკლუზიურ უფლებებში შედის იმიგრაციის პროცესთა მართვა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შემადგენლობაში იურიდიულად მყოფ აფხაზეთს შეუძლია შემოასახლოს რუსები, კაზაკები, თურქები, ადიღეელები, თურქეთის მოქალაქეები და სხვანი, რომელნიც დღეს საქართველოს (კერძოდ, აფხაზეთის) დემოგრაფიულ ათვისებას ესწრაფვიან, და მოკლე ვადაში შექმნას ამ ანტიქართული დემოგრაფიული ელემენტების ყოვლისწამლეკავი (overwhelmivg) უპირატესობა აფხაზეთში.

1 და 2 პუნქტთა კომბინაციით პროექტი ქმნის იმის გარანტირებულ პერსპექტივას, რომ რამდენიმე წელიწადში საქართველოდან აფხაზეთის სავსებით ლეგიტიმური და მოსახლეობის შემადგენლობის რეალური სურათით შემაგრებული გამოყოფა მოხდება.

3. პროექტის ავტორებს, რომელნიც, მათი სიტყვით „მოლაპარაკებას“ აწარმოებენ აფხაზეთის თვითმარქვია „სახელმწიფოს“ დღესდღეობით მმართველ დამნაშავე რეჟიმთან, როგორც ჩანს, მიაჩნიათ, რომ ეს რეჟიმი გამოხატავს აფხაზეთის აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ნებას, ხოლო ეს უკანასკნელი ნება ერთადერთი კანონიერი ნებაა აფხაზეთის, როგორც მთელის, ბედის განსაზღვრაში და ამის გამო მას ყოველგვარ გადაწყვეტილებებზე „ვეტოს“ უფლება აქვს. ეს შეცდომაა. აფხაზეთის, როგორც მთელის, ნებად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ტოლქმედი იქაური აფსუური („აფხაზური“), ქართული და დანარჩენი კანონიერი (მაგრამ მხოლოდ კანონიერი!) მოსახლეობის ნებისა, საიდანაც გამომდინარეობს, რომ დარეგულირების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა იმის განსაზღვრა, თუ როგორ ფორმირდება „სოხუმის“ ანუ აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება. პროექტის ავტორები ვერ ხედავენ (ან არ ხედავენ) იმ პრინციპის გათვალისწინების აუცილებლობას, რომ ერთი აფსუას („აფხაზის“) ხმას აფხაზეთის, როგორც მთელის, ბედის განსაზღვრაში ზუსტად იგივე ძალა აქვს, რაც ერთი ქართველის ხმას. მათი ეს პოზიცია სხვაგვარად ვერ დახასიათდება, თუ არა როგორც მართვის თვალსაზრისით აპარტჰაიდული, ხოლო ზოგადპოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით როგორც რასისტული და შოვინისტური, ოღონდ იმ განსხვავებით რასიზმისა და შოვინიზმის კლასიკური ფორმებისაგან, რომ იგი მიმართულია იმ ერის წინააღმდეგ, რომელსაც პროექტის ავტორები ეკუთვნიან, და იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლის მოქალაქენიც ისინი არიან.

სამწუხაროდ, როგორც ცნობილია, მათს მოლაპარაკებაში აფსუურ („აფხაზურ“) მხარესთან, უფრო ზუსტად — აფხაზეთში დღესდღეობით გაბატონებულ დამნაშავე რეჟიმთან მონაწილეობს ოფიციალური პირი — საქართველოს მთავრობის წევრი გ. ხაინდრავა.

მათი მოქმედება მიგვაჩნია მცდელობად, რომ საქართველოს ხელისუფლება დაიყოლიონ სახელმწიფო ღალატზე. პროექტის მიხედვით საქართველოს პოლიტიკის წარმართვა იქნება სახელმწიფოს პირდაპირი ღალატი აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით.

საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტი

24.05.2004 წ.

მთავარი რედაქტორი
მანანა ლოგჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-15-89

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.